


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 1 იანვარი 1 1898 წ. № 1

შინაარსი: რედაქციისაგან.—დღევანდელი კითხვები ნ. ჟორდანიასი.—საახალწლო იმედები ლექსი ფანდისა.—რუსეთი 1897 წელს ъ—სა.—განთიადი ლექსი დ. თომაშვილისა.—ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მოძრაობა ფ. მახარაძისა.—საახალწლო საუბარი ***—ისა.—ევროპა ე—ასი.—ქუთაისის ბანკის და კერძო განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილლერიის ქუჩა კადეტის კორპუსის გვერდით სახლი თამამშოვისა.

ცალკე ნომერი ღირს 15 კ.

## რედაქციისაგან.

საზოგადოება, რომელიც შეცვლილ ეკონომიურ და სოციალურ პირობებს ვერ შეეწყობა, ცხოვრების შესაფერ წარმოებას და შრომას ვერ განავითარებს, უეჭველათ უნდა დამარცხდეს. „კვალის" რედაქციის უმაღლესი და უწმინდესი მიზანია ქართველ ხალხს დღევანდელი რთული პირობების შეგნება და თანახმათ ამისა მოქმედება გაუადვილოს. ამის განსახორციელებლათ ჩვენ მას არავითარ უცხო და შეუფერებელ თეორიებს თავზე არ მოვახვევთ. ჩვენის აზრით, ყოველივე თეორია გინდ იდეალი უნდა იქმნას მოძებნილი თვითონ ცხოვრების გულში და არა ადამიანთა აღფრთოვანებულ ფანტაზიაში. ის აღმოჩენილ უნდა იქმნას და არა მოგონებული, მისი საფუძველი ნამდვილი რეალური მოვლენა უნდა იყოს და არა წარმოდგენილი. ის თავის გასამართლებელ საბუთს საზოგადოების მატერიალურ პირობებში უნდა ეძებდეს და არა ავტორთა გონებრივ აღმაფრენაში. პირველ ყოვლისა საჭიროა თვით მოვლენა, თვით ფაქტი და არა განყენებული მსჯელობა. ცხოვრებაში უფრო მეტი აზრია, ვინემ ერთ დიდ მოაზრეს თავში. საჭიროა მხოლოდ იმის ამოკითხვა, სიღრმიდან ზევით ამოტანა, სიბნელიდან სინათლეში გადატანა. ჩვენი მიზანია ცხოვრების ფურცლებზე ის წავიკითხოთ, რაც დაწერილა და ან იწერება და არა ის, რაც მხოლოდ წამკითხველის ოცნებაში აღბეჭდილა. ჩვენ ამოვიტანთ იქიდან იმას, რაც იქ არის და რის ამოტანა შესაძლებელია და არა იმას, რაც იქ არ არის და, მაშასადამე, რის ამოტანაც ძლიერ ადვილი საქმეა. მარა ცხოვრება ხომ მატარებელია ძველის და ახალის, წასულის და მომავალის. ამათი ერთმანეთისაგან დაშორება, თვითეული მხარის დანაწილება და არა ერთმანეთში არევა—არის პირდაპირი მიზანი მკვლევარის. ჩვენ აქ გიკითხავთ: რომელია ძველი, გაქრობისაკენ მიდრეკილი, და რომელია ახალი, მერმისის მქონებელი. ჩვენ უმთავრეს ყურადღებას ამ უკანასკნელს მივაქცევთ, პირველი კი იმდენათ საყურადღებოა, რამდენათ ის მეორეს ხელს უშლის ან და ხელს უწყობს. ჩვენი მიზანია მომავალის დაბადებას დავეხმაროთ...

ერთი სიტყვით, მწერლობის ცხოვრებასთან შეკავშირება, მისი კვალ-და-კვალ მიყოლა, ახალ-ახალ მოვლენათა გარკვევა, ახსნა და შეგნება—აი რედაქციის მიზანი, აი მისი სატრფიალო საგანი. ამ გზაზე მოიწოდებს ის ყველას, ვისაც კი ეს კითხვები აინტერესებენ და მათი ახსნით საზოგადო სალარო[illegible]ამე წვლილის შეტანა

სურთ. ის ხელს უწვდის ყველა ასეთ პირთ, საიდანაც და რა სიმბოლო-სარწმუნოებისაც უნდა იყვნენ ისინი. ის სრულიად არ უფრთხის აზრთა შეტაკებას, მიმართულებათა სხვა-და-სხვაობას, მსჯელობათა უთანხმოებას. იქ, სადაც ყველაფერში თანხმობაა, ყველა ერთნაირათ ფიქრობს, ყველას ერთი მეორის მსგავსი თავი აბია, იქ არავითარი ცხოველ-მყოფელობა, არავითარი მოძრაობა და წინსვლა არ არსებობს. ეს საზოგადოების სამარეა.

„კვალი“ არ არის ორგანო ერთი რომელიმე პირის, ან ერთი რომელიმე წრის, ის არის საზოგადო ორგანო, ე. ი. ისეთი, სადაც ყველა საბუთიან შეხედულებას ადგილი ექნება. კითხვების დასმა, მიუდგომელი სჯა ბაასი, ნამდვილი მსჯავრის დადება—აი რა არის ორგანოს დანიშნულება. საზოგადო კითხვების არა მიმალვ-მომალვა, არა გადაფუჩ-გადმოფუჩხება, არამედ სინათლეში გამოტანა და ერთიანათ გამოაშკარავება; ჩვენი შეცდომ-ნაკლულევანების არა ხელის დაფარვა, არა მაზედ დახუჭება, არამედ საჯაროთ აღნიშვნა და მაზედ ხმა-მაღლა მსჯელობა. ერს, რომელიც მომავლისაკენ იცქირება, არავითარი მხილების არ ეშინია. მისი განვითარების უტყუარი იარაღი მისივე კრიტიკაა. ვუთხრათ თავის თავს სიმართლე, რაზომ მწარეც იყოს იგი. ნუ მოვიტყუილებთ თავის თავს უბრალო ოცნებით, რაზომ ტკბილიც იყოს იგი. გავცვალოთ ქება-დიდება კრიტიკაზე და ბაქი-ბუქობა საქმიანობაზე. უარვყოთ გამათახსირებელი შენ-ჩუმობა საზოგადო საქმეში, მოვერიდოთ პირად ბრძოლას და უსიამოვნებას, სამაგიეროთ მგერდით შევხვდეთ სახალხო ბრძოლას, ავლაგმოთ პირადი გულის-თქმა და მედიდურება, სამაგიეროთ წინ წამოვაყენოთ ხალხის სურვილები და თავ მოყვარეობა. შევწიროთ ჩვენი ამპარტავნება ხალხის ამპარტავნებას, ჩვენი ბედნიერება ხალხის ბედნიერებას. შევიტანოთ მწერლობაში მეტი აზრი და ნაკლები სიტყვა, დავიცვათ ერთი მეორის პატივის ცემა და ლიტერატურული ზნეობა.

ერთი სიტყვით, მეტი შრომა და ენერგია, მეტი ცოდნა და მუყაითობა, მეტი თავდადება და უანგარობა!

## დღევანდელი კითხვები.

თანამედროვე პირობებში ვერც ერთი ქვეყანა ვერ წაიწევს წინ, ისე რომ დანარჩენი თან არ გაიყოლიოს. სხვა-და-სხვა ერთა დღევანდელი ცხოვრება ისეა ერთიმეორეზე გადაბმული, რომ ერთის ცვლილება იწვევს მეორის და მესამის ცვლილებას. ერთის განვითარებას უეჭველათ ასეთი თუ ისეთი გავლენა აქვს მეორეზე. ეს გავლენა ორნაირია: დამარღვეველი, ძველი სადა ურთიერთობის შემარყეველი, შემქმნელი, ახალი რთული ურთი-ერთობის აღმაღორძინებელი. ასეთი გავლენის მატარებელი ხალხი მოწინავე ხალხია, ხოლო ამ გავლენის და მისი შედეგების შემთვისებელი უეჭველათ უკან ჩამორჩენილი ხალხია. ეს ორი კულტურის შეტაკებაა, ეს ორი წყობილების დაპირისპირებაა. ეს ერთნაირი ბრძოლაა, მარა ბრძოლა ახალმოდის, სისხლდაუნთხევლათ, თოფ უსროლელათ, ხმლის ამოუღებლათ. მისი სარბიელი ეკონომიური სარბიელია, მისი ფარ-ხმალი ქარხანა და მანქანაა, მისი ძლიერება ოქრო-ვერცხლია. ერი, რომელიც პირველათ შედგა ამ გზაზე და უმაღლესათ განვითარდა, არის ინგლისი. მას თან გაჰყვა მთელი ევროპა. ევროპა—ეს ის ვეშაპია, რომელიც ყველა არა ევროპიელ ქვეყანას ემუქრება: მიცანი თორემ ჩაგყლაპავო. მისი ცნობა მისი ეკონომიური წყობილების შეთვისებაა, გაევროპიელება—მოქალაქობრივი ცხოვრების დაწყებაა. და აი, ასეთი მუქარით შემოიარა მან მთელი ხმელეთი და, ბოლოს, ამ ჩვენ უბადრუკ სამშობლოშიაც შემოიჭრა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ერი, პატრიარქალურ-იდილიურ მდგომარეობაში ჩაბმული, შეკრთა, შეინძრა და თვის გარეშემო მიიხედ-მოიხედა. მან შეამჩნია ორი გზა, ორივე ერთი მეორის მოწინააღმდეგე და უარის მყოფელი: გზა უძრაობის, უმოქმედობის, ძველი დახავსებული ცხოვრების, და გზა მოძრაობის, მოქმედების, ახალი დროის-შესაფერი ცხოვრების. პირველი მიექანება უკან, დაღუპვისაკენ, მეორე წინ, წარმატებისაკენ. პირველ შემთხვევაში ერი რჩება ისტორიის გარეშე, ის თავის საქმეს თვითონვე აღარ მეთაურობს, თავის მერმისს თავისი ხელით აღარ ამზადებს. ამით ის გზას უთმობს სხვა მასზე მოსულ და მის მეტოქე ერს და თვითონ გადაშენების გზაზე დგება. ასე დაემართა ყველა უკულტურო თუ მცირე კულტურიან ხალხს. ხოლო მეორე შემთხვევაში ერი თვითონვე, თავის არსებაში ავითარებს ძალას, ენერგიას, შრომას და სხ. ის ფხიზლობს, ფაცი-ფუცობს და მით თავის მოძრაობის უღელში თვითონვე ებმება. ქართველობა, ახალი ხმით შემკრთალი, ახალი საყვირით გამოღვიძებული, ამ მეორე გზას დაადგა. ის ხელ აღებ გადაეშვა აბობოქრებულ მორევში, ღონიერათ შეებრძოლა აღელვებულ ტალღებს და გასწია იქით, საითკენაც მოწინავე კაცობრიობა მიიმართება. მისი ნაპირზე გასვლა, ნავთ-სადგურამდის მიცურვა—ეს ერთობ გძელი პროცესია, ეს მთელი ხანაა. ეს ახლანდელი პროცესის ბოლოა და მომავალის დასაწყისი. ჩვენთვის სწორეთ ეს დღევანდელი მიმდინარეობაა საინტერესო. მხოლოთ ამისი შეგნება გვამცნევს მომავალს და გაგვინათებს წარსულს.

ისტორიულ მოძრაობის ჩარხს ეკონომიური ურთი-ერთობა ატრიალებს. ამა თუ იმ ნივთიერი

საძირკველის ზედშენდებას შეადგენს ეს თუ ის პოლიტიკური და იურიდიული წყობილება. მაშასადამე ყოველ ხანას თავის საკუთარი ნივთიერი წყობილება აქვს. ჯერ უნდა გავიგოთ უკანასკნელი, რომ მით გაგებულ იქმნას პირველიც.

მამული, კაპიტალი და შრომა—აი ის სამი ეკონომიური მოვლენა, რომელიც შეიცავს დამახასიათებელ თვისებას სამი სხვა-და-სხვა ისტორიული დროისას. პირველი წარმოადგენს საძირკველს წარსულისას, მეორე აწმყოსას და მესამე მომავლისას. მამულის ბატონობა ნიშნავს წარმოებაში მეურნეობისა და სოფლის ბატონობას, პოლიტიკაში ფეოდალურ უფროს-უნცროსობას და იურისპრუდენციაში — თავად-აზნაურულ უფლება-უპირატესობას. აქ ცხოვრებას აი ეს მოწინავე წოდება მეთაურობს და ყოველივეს აწყობს თანახმათ მისი შეხედულებებისა და ინტერესებისა. აქ ეროვნული განვითარება ნიშნავს თავად-აზნაურობის ანუ ფეოდალიზმის განვითარებას. მარა აი, ასეთ ახიბულ-დახიბულ მდგომარეობაში შემოვარდა ფული და ყველაფერი მიანგრ-მოანგრია. მყუდრო ცხოვრების საფუძველი შეირყა, წოდებები ერთმანერთში აირ-დაირია და წინ ქალაქი წამოდგა. ფული შეიქმნა ერთათ ერთი საწყაო ადამიანთა ეკონომიური და უფლებრივი დამოკიდებულებისა. ცხოვრების მეთაურობა ჩამოერთვა სოფელს და გადაეცა ქალაქს. მეურნეობამ დაჰკარგა უპირატესობა და მისი ალაგი დაიჭირა მრეწველობამ. მეტი შრომა და ენერგია, მეტი ჭკუა და გამოცდილება—აი რა დაწერეს ახალ დროშას. ძველი სადა და უდარდელი წუთი-სოფელი ერთ საშინელ ხელ-ჩართულ ბრძოლათ გადაიქცა. ბრძოლა წარმოებს სამოქალაქო ნიადაგზე. ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, მრეწველობა და მიმოსვლა —აი ბრძოლის იარაღები. შენ-ჩემობა, სამკვდრო-სასიცოცხლოთ შეტაკება, ყველაფრის ხელის-შეხება და არავისი დაუნდობლობა —აი სამრეწველო ომის ზნეობრივი თვისებები. ცხადია, შთამამოვლობითი უპირატესობას, გვარიშვილობას, წოდებრივ მიუკარებლობას აქ ადგილი აღარ აქვს. გუშინდელი ბუმბერაზი დღეს თავდაყირა გადატრიალებული ცხოვრების უფსკრულში ვარდება. სამაგიეროთ დღევანდელი ვიგინდარა ხვალინდელ ცხოვრების სათავეში უდგება. ასე თან და თან ერს ძველი საძირკველი ფეხიდან ეცლება და მის ალაგას ახალი ვითარდება. ეს დანგრევის ხანაა, რაიცა იწვევს მწარე ტკივილებს ხალხის ეკონომიაში და აზრების არევ-დარევას ადამიანთა გონებაში. ხალხი ერთ წყობილებას შორდება და მეორეს ჯერ კიდევ ვერ ეგუება. ამისათვის მას უქადაგებენ არა ქვევითი განვითარებას და ახალ გზაზე ერთიანათ გამოსვლას, არამედ ძველი მდგომარეობის დაცვას და ძველი ქერქის შენახვას. ამის მოციქულათ გამოდის ერის ის ნაწილი, რომელიც შეცვლილ პირობებში ყველაზე მეტს ჰკარგავს— თავად-აზნაურობა. ეს პოულობს შესაფერ გამოხატულობას მწერლობაში. აქ კი ზოგი შეგნებულათ იცავს ფეოდალთა ინტერესს და ზოგიც შეუგნებლათ. არევ-დარევა ცხოვრებაში ბადებს არევ-დარევას გონებაში.

ერი, რომელიც ყველაზე უფრო ადრე ეწყობა მოქალაქობრივ პირობებს, მაგრდება და წელში იმართება, მსოფლიო მეტოქეობაშიაც გამარჯვებული რჩება. მაშასადამე ეკონომიური წარმატება არის წარმატება ეროვნული, მოქალაქობრივი აღორძინება არის აღორძინება კულტურული. ვინ არის ამ აღორძინების მეთაური? რა ელემენტებისაგან შედგება მოქალაქობრივი ურთიერთობა? ერის რომელი ნაწილი თამაშობს მოწინავე როლს?

რაკი საზოგადოებაში ფული გაბატონდა, ცხადია ერიც უნდა დაყოფილიყო თანახმათ ამ ლითონის ქონებისა. ფულიანი და უფულო, მდიდარი და ღარიბი, ბურჟუა და მუშა —აი ერის ახალი შემადგენელი ნაწილები. ძველი წოდებები ითქვიფება ერთმანეთში და იძლევა ორ კლასს: ბურჟუაზია და მუშა-ხალხი. აი ეს ორი ახალი კლასია თანამედროვე ცხოვრების მატარებელი. ესენი, როგორც ახალი პირობების შვილნი, პირდაპირ ებრძვიან ძველ წოდებრივ დამოკიდებულებას. მათი ინტერესი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა თავად-აზნაურობის ინტერესს. მათი განვითარება მოითხოვს მთელი ძველი მობერებული წყობილების დარღვევას და ახალის დამყარებას. რამდენათაც ისინი აწმყოს ნიადაგზე წარსულ ეკონომიურ და იურიდიულ დამოკიდებულებას ებრძვიან—იმდენათ ისინი ერთათ დგანან, იმდენათ მათი ინტერესები ერთია. მეორე მხრით, რამდენათაც ისინი აწმყოს ნიადაგზე მაგრდებიან და მომავალს იმზადებენ—იმდენათ ისინი ერთმანერთს ებრძვიან, იმდენათ ისინი ერთი მეორის მტრებია. აქ შრომა და კაპიტალი, მუშა და მურჟუა ერთმანეთს უპირდაპირდებიან და ერთი მეორეზე იერიშით მიდიან. კაპიტალმა დასცა მამულის და მასთან ერთათ შეკავშირებული ელემენტების უფროსობა და თვითონ გაუფროსდა. ახლა შრომას სურს კაპიტალის ბატონობის დანგრევა და თვითონ გაბატონება, რაიცა ნიშნავს უფრო სამართლიანი და ჯეროვანი განწყობილების განმტკიცებას.

ამ სახით ბრძოლა ახალი კლასების ძველ წყობილებასთან და ბრძოლა მათი ერთმანერთთან — აი რა შეიცავს თანამედროვე ისტორიის ღერძს. მაშასადამე დღევანდელი ეროვნული აღორძინება არის ამ ორ კლასთა აღორძინება, ეს კლასთა განხეთქილებაა, რაც

ავითარებს მათში მეტ შრომას და ენერგიას, აუკეთესებს საბრძოლველ იარაღებს დაწყებული პოლიტიკით და გათავებული ხელოვნებით, რომ მით ასე განახლებულ-გაახალგაზდებული ერთმანერთს შეებრძოლონ. მოშალეთ ეს ბრძოლა—და მოიშლება ეკონომიური, პოლიტიკური, იურიდიული, ერთი სიტყვით ყოველ-მხრივი წარმატება. აშკარაა, კლასთა ბრძოლა—ეს ისტორიი'ს უდიდესი ჩარხია. ჩვენ ამ გზაზე შევდექით და ჩვენი აქიდან გადმოვარდნა, სხვა გზისაკენ გადასვლა, ადამიანის ყოველივე ძალ-ღონეს აღემატება...

გამოკვლევა ამ გზის, გათვალისწინება ყველა მისი მხარეების, შეგნება ყველა მისი ვითარების—აი ჩვენი მიზანი, აი რა გვსურს ჩვენ.

ნ. ჟორდანია.

## საახალწლო იმედები.

შუაღამეა. მიჩანჩალობს
გადამდგარი ძველი წელი,
მოღალატე, უსირცხვილო,
მჩაგვრელი და სისხლის მღვრელი!..

—

კარს მოგვადგა მის სანაცვლოთ
სასურველი ახალ-წელი,
ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის
მოკეთე და მფარველ-მცველი.

—

კარი დახვდა ჩაკეტილი,—
ძველი არის ჩვეულება,
შიგ ხალხია თავ მოყრილი —
საახალწლო წვეულება.

—

უცხო სტუმარს შესვლა უნდა,
მარა კრძალვით ერიდება,
ყოველ სიტყვას, ყოველ ნაბიჯს
მოწიწებით ეკიდება.

—

აკაკუნებს კარზე ნელა,
ეუბნება: „გამიღეთო,
შემოვდივარ სამეგობროთ
და სალამი მიიღეთო“.

—

დიასახლისს გული უძგერს,
სიხარულით ეღიმება,
სანატრელი სტუმრის მოსვლა
ოჯახს სხივათ ეფინება...

—

ეჩქარება შემოუშვას
და გაუღოს სტუმარს კარი,
მარა ჯერ-კი ეკითხება,
თუ რა მოაქვს საჩუქარი.

—

ახალ-წელმა ჩაახველა
და წარმოთქვა: „მე რას ვსური?
რას ვეცდები, მოვინდომებ,
რა სიკეთეს თქვენთვის ვწყური?“

—

„მოგიყვებით, მხოლოთ მოკლეთ,
მომაპყარით თქვენ-კი ყური;
თუ დაგიჯდესთ, მოგეწონოთ, —
ნება დართეთ და დასტური“.

### I.

„ქართველობა საზოგადოთ
გულ-კეთილათ ცნობილია,
ყველა სუსტი, დაჩაგრული
მისი ძმობილ-ძმობილია“...

—

„მარა რა, რომ არას შველის
იმას ეს გულ-კეთილობა!...
მის სამტროთ და საორგულოთ
სხვებს ბჭობა აქვთ და ცილობა!...

—

„ყველა იმას მიესია,
ის კი ითმენს, როგორც კრავი...
სხვა მდიდრდება, ძლიერდება,
ის სუსტდება, ძვრება ტყავი!“...

—

„დაეტყობა მოკლე დროში
ყოველ მხრივათ წარმატება:
გონებრივათ, ქონებრივათ
ძალს მოიკრებს და დატკბება...

### II.

ყველა კარგათ იხსენიებს
სხივ-მფინარე ქართველ ქალებს,
მათი შუ'ი, ელვარება
მტრებს უყენებს ხშირათ თვალებს...

—

„მარა რაა, ჩვენთვის რომ ვთქვათ,
მათი ღვაწლი, მათი საქმე?
„არაფერი, არაფერი“ —
საპასუხოთ მესმის აქ მე!“...

—

ისიც კმარა, რაც ამდენ ხანს
უსაქმურათ ჰლიეთ დღენი,
აწ-კი დროა, ჰე ქალებო,
რომ იჩინოთ ძალა თქვენი!“...

—

„ხელს შეგიწყობთ ყველაფერში,
გზნელს ნათელი შიაფინეთ,

მოგვიახლეთ გაზაფხული
და მერცხლებიც მოაფრინეთ!“...

III.

„მწერლობაზე გული მწყდება:
არ აქვს წესი და არც რიგი,
წყალ წაღებულ კაცს მაგონებს,
ეკიდება ხავსს როს იგი“...

—

„მარა ძველებს ყურს ვინ უგდებს,
ახლებშია ახლა ძალა,
ძველებს ღონე დაელიათ
და სისუსტემ მათ დასძალა!“...

—

„ახლებიც-კი ორ გვარია:
ზოგი კარგი, ზოგი ავი,
ზოგს სიცოცხლე ენატრება,
ზოგს მოსძულდა თავის თავი!“...

—

„ზოგი არის ჭრელა-ჭრულა
სავალი გზა დაჰკარგვია,
ხან ერთს ამბობს, ხან მეორეს
და მწერალი მასაც ჰქვია!..

—

„აქაც უნდა ჩაერიოს
ჩემი ჭკუა, ჩემი ხელი,
გაარჩიოს, განასხვაოს,
ვინ მრუდია, ვინ გულწრფელი“.

—

„ვინც ღირსია,—დააფასოს,
უღირსს მიწა გაუთხაროს,
მტრებს კუდით ქვა ასროლიოს,
მოყვრებს გული გაუხაროს!“...

IV.

„სათვითაოთ არას ვამბობ,
მხოლოთ ვეტყვი მე ველიჩკოს:
ჩაუფიქრდეს, რას წერს, როგორ?
საზოგადოთ ჭკუით იყოს!“.

„მისი სიტყვა, მისი საქმე
ყველა კარგათ დათვლილია,
ნამეტანს ნუ მოინდომებს,
თორემ წიხლს ჰკრავს თვით ილია!“

—

„რაც მოუვა, რას დავეძებ,
ის იქნება მასზე ახი!...
დავანებოთ თავი ყველას
და ვახსენოთ ახლა ხალხი“.

V.

„ქვეყნის მრჩენი, ქვეყნის მუშა
თვით ღატაკი, ღარიბია...
რაც მას ჰმოსავს, რაც აცვია
ის სხვებისთვის აიბია“...

—

„ყველა მას ჰგლეჯს, ყველა მას ჰკბენს,
ის-კი ჩუმათ იტანჯება,
მარა ითმენს ვაჟკაცურათ,
სხვებივით არ ილარჯება!“...

—

„ცუდი ბედის კარგზე შეცვლა
შეურყევლათ რწამს და სჯერა,
ამ იმედით ემატება
სამოქმედო გულის ძგერა“.

—

„ის აღდგება, გამაგრდება,
მისი არის მომავალი!...
ვერ დაწვავს და ვერ გააქრობს, —
რომ ედება დღეს მას ალი!“...

—

„მთლათ ეს ჩემ დროს არ მოხდება,
თვარა გულს კი მოვიფხანდი!...
ხალხმაც იცის, სად რა უჯობს.
ხან სარმა და ხანაც... ფანდი.

## რ უ ს ე თ ი 1897 წელს.

ამ პატარა წერილში ჩვენ გვსურს ქართველ მკითხველს წარვუდგინოთ რუსეთის ცხოვრების წარსული წლის მოკლე ანგარიში დ̃ გავათვალისწინებიოთ ის საზოგადო გზა, რომელზედაც რუსეთი კაი ხანია შედგა.

აქ ჩვენ არ შევუდგებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფაქტების, ყველა მოვლენების დაწვრილებით აღნუსხვას, რადგან, ვფიქრობთ, ლიტერატურული ბუჰგალტერია ვერაფერი საშუალებაა რომელიმე ისტორიული მომენტის დასაფასებლათ. ჩვენი მიზნისთვის სრულიად საკმაო იქნება აღვნიშნოთ წარსული წლის უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები, უფრო დამახასიათებელი მოვლენანი და მასთან ვაჩვენოთ ისიც, თუ ყველა ეს როგორ არის ჩაწნულ-ჩაქსოვილი განსაზღვრულ კლასსურ ურთიერთობათა სისტემაში, ვინაიდან კარგა ხანია ცნობილია, რომ ადამიანთა ყველა საზოგადოების ისტორია წარმოადგენს კლასთა ბრძოლის ისტორიას.

ამიტომ მეტი არ იქნება გაკვრით მაინც მოვიხსენიოთ ის ცვლილებანი, რომელნიც მოხდენ რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში ამ უკანასკნელი 36 წლის განმავლობაში და რომელთაც გააბატონეს

საზოგადოებაში განსაზღვრული კლასსიური ურთიერთობანი.

სათავეთ ყველა დღევანდელ დამოკიდებულებათა უნდა ჩავთვალოთ, რასაკვირველია, 1861 წ. დიდი რეფორმა. აი აქედან იწყება „რუსების ახალი საზოგადოების“ ფორმალური წელთ-აღრიცხვა. გლეხთა განთავისუფლებას, რომელიც გამოიწვია ჯერ ისევ ბატონ-ყმურ მეურნეობაში ჩასახულ ალებ მიცემობის საჭიროებამ, მეტად დიდი რევოლიუციონური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებისათვის. ერთი მხრით, როდესაც 61 წლის რეფორმამ 23 მილიონ გლეხობას მიანიჭა პირადი თავისუფლება, ამით მან დააკანონა საქონლის წარმოების გაბატონება. როგორც ვიცით, საქონლის წარმოება ვერა თავსდება მონობასთან, იგი თხოულობს ალებ-მიცემობის ყველა მონაწილეთა იურიდიულ თანასწორობას. მეორე მხრით, რამდენათაც გლეხთა განთავისუფლება, გარდა პირადი თავისუფლებისა, ნიშნავდა აგრეთვე სადგილ-მამულო საკუთრებიდან განთავისუფლებასაც, იმდენათ ჩაიყარა კაპიტალისტური წარმოების მკვიდრი საძირკველი, როგორც მეწველობაში, ისე მიწათ-მოქმედებაში.

ამ დროიდან მოკიდებული ნაცვლათ ნატურალური წარმოებისა ვითარდება საბაზრო წარმოება. ბაზარზე გამოდის გასაყიდათ არა მარტო ადამიანის ძალ-ღონის ნაწარმოები, არამედ თვით ეს ძალ-ღონეც, არა მარტო შრომის ნაყოფი, არამედ თვით შრომაც.

საბანკო კრედიტის განვითარებამ, რკინის გზებმა და საზოგადოთ მიმოსვლის სიადვილემ, რომელნიც თან მოჰყვენ ცხოვრების ახალ პირობებს, კიდევ უფრო ხელი შეუწყეს ახალი წარმოების გაბატონებას. ის გარამოება, რომ წინანდელი ნატურალური გადასახადი ეხლა ფულათ უნდა გასტუმრებულიყო, კიდევ აძლიერებდა ფულის მოთხოვნილებას და იძულებულ ჰყოფდა მოხარკეთ ნამუშავართან ერთათ თავისი სამუშაო ძალ-ღონეც გასაყიდათ გაეტანათ.

დროს განმავლობაში, საშინაო ბაზარი იზრდება, იგივე ველარ თავსდება ნაციონალურ საზღვრებში და უკავშირდება მსოფლიო ბაზარს. ამით ძველ წყობილებას სწრაფათ ეკარგვის ნიადაგი და ნატურალურ-ფეოდალური რუსეთი თანამედროვე ბურჟუაზიულ ელ-ფერს ღებულობს.

საქმე იმაშია, რომ ბაზარი და განსაკუთრებით კიდევ მსოფლიო ბაზარი-ეს ის მოედანია, სადაც გაჩაღებულია ეკონომიური ბრძოლა. თუმცა ბაზარი აუცილებლათ თხოულობს საქონლის მეპატრონეთა იურიდიულ თანასწორობას, მაგრამ იმავ დროს ბაზარზე სუფევს საქონლის ფასების მუდმივი რყევა, დაუდგრომლობა, აწევ-დაწევა; ეს კი თვით საქონლის მეპატრონეთა ქონობის რყევას, აწევ-დაწევას მოასწავებს. ამიტომაც იქ, სადაც ფეხს იკიდებს საქონლის წარმოება, ჰქრება ფაქტიური, ქონებრივი თანასწორობა. ბაზარი, შეიარაღებული კონკურენციით, თვითვე ჰქმნის ქონებრივ უსწორმასწორობას და მასთან აძლიერებს უკვე არსებულ უთანასწორობას; რჩეულთა ხელში იგი აგროვებს ფულს-კაპიტალს, მეორეებს კი ალატაკებს და მხოლოდ თავის სამუშაო ძალ-ღონის ანაბარათ ჰხდის. აქედან ცხადია, რომ რაკი თავად-აზნაურობამ და გლეხობამ (პირველმა მეორეზე უფრო ადრე) შეტოპა მხოფლიო ალებ-მიცემობაში, იგი ველარ შეირჩენდა წინანდელ ერთფეროვნებას; წოდებრივი ზღუდეები დაინგრა, საზოგადოება აითქვიფა და დაიყო ქონების მიხედვით ახალ კლასებათ.

არა გვგონია ვისთვისმე შეადგენდეს საიდუმლოებას, რომ დღეს რუსეთის გლეხობა აღარ წარმოადგენს ერთფეროვან, ერთგვარ მასსას. „Русскія Вѣдомости“-ც კი—გაზეთი რომელიც ყველაზე ნაკლებ ამჩნევს რუსეთის ეკონომიურ ცვლილებას – ამას წინათ ტიროდა, „ჩვენი სოფლის ხალხი.... ქონებრივათ სხვა-და-სხვა გვარი ელემენტებისაგან შედგება“.... ერთ მხარეზე დგას უმცირესობა—მამულ-დედულით გამდიდრებული გლეხობა, რომელიც დაქირავებულ შრომასა სწუწნის. ეს სოფლის ბურჟუაზიაა, საიდანაც გამოდიან სოფლის რაციონალური მეურნენი და ქალაქის საალებმიცემო-სამრეწველო კაპიტალით აღჭურვილი ბობოლები; მეორე მხარეზეა პირველის სრულიად მოწინააღმდეგე უმრავლესობა, მთელი ჯგუფი ნამდვილ პროლეტარებისა; ესენი არიან უმიწაწყლო „გლეხები“, რომელთაც თვისი სამუშაო ძალ-ღონის მეტი აღარა გააჩნიათ რა და რომელნიც მრავლად ჰგზავნიან თავიანთ მოძმეებს ქალაქისა და სოფლის მოქირავე მუშათა რაზმში. გარდა ამ ორი ჯგუფისა, ჩვენ ვხედავთ კიდევ ეგრეთ წოდებულ ჩვეულებრივ ანუ საშუალო გლეხობას. ამ „გლეხობის“, დიდი უმრავლესობა პირველ ჯგუფის კლანჭებშია ჩავარდნილი და გარეთ ქირაზე მუშაობით ძლივს ღა იბრუნებს სულს. თუ რამდენათ შერყეულია მისი მდგომარეობა, ამას ნათლათ გვიჩვენებს შარშან, იანვარში, მომხდარი საყოველთაო აღწერა. აქედან ვტყობულობთ, ყოველ წელიწადს მთელი ნახევარ მილიონი გლეხობა სამუდამოთ ტოვებს სამშობლო ადგილებს, შეჩვეულ მიწა-წყალს და მიემგზავრება უკეთესის საძებნელათ. „გლეხობა გაურბის სოფელს“, ამბობს ვ. მიხაილოვსკი (Н. С., № 9)“ ძნელი წარმოსადგენია, თუ რით გათავდება ეს ამბავი. ველიკორუსის სოფელი ჩვენ თვალწინ ცარიელდება, სწორეთ ისე,

როგორც დაცარიელდენ ინგლისის და ჩრდილო-ამერიკას აღმოსავლეთ შტატების სოფლები“.... იგივე აღწერა გვიჩვენებს, რომ სოფლის მცხოვრებთა შემცირებასთან ერთათ საოცრათ გაზდილა ქალაქები, საითკენაც ამ უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში სოფელს $2\frac{1}{2}$ მილიონი მცხოვრები გაუგზავნია.

აშკარაა, რომ „მიწათ-მომქმედი, გლეხობაზე დაყრდნობილი რუსეთი“ თანდათან ისტორიის კუთვნილებათ ხდება. პირველობას იჭერს ქალაქი. წარმოების ახალი წეს-რიგი იქითკენ მიერეკება ხალხს, საითკენაც თვითონ სურს და ისეთ ცხოვრებას აჩვენებს, როგორიც კი შეეფერება მის მოთხოვნილებას.

ამ გვარათ იშლება და ნაწილდება გლეხობა. ასეთივე ბედი არგუნა მსოფლიო აღებმიცემობამ მთელი რუსეთის თავად-აზნაურობასაც. მას, როგორც ბატონ-ყმობის ატმოსფერაში აღზრდილს და წოდებრივი ტრადაციებით გამსჭვალულს, არ მოეპოვებოდა არც სურვილი და არც უნარი ახალ წეს-რიგზე დამდგარი მეურნეობისათვის ხელი მოეკიდა; ამიტომაც ის სწრაფათ დაქანდა უფსკრულისაკენ და აი ჩვენ წინ ასეთი სურათი გადაიშალა: მომეტებული ნაწილი თავად-აზნაურობისა, „კეთილშობილ პროლეტარებათ“ გარდაქმნილი, სახელმწიფო, საზოგადო თუ კერძო დაწესებულებებში სამსახურსა შოულობს. (მას ამ საქმეში კიდე ეხმარება დარჩენილი წოდებრივი უპირატესობა). არა მცირედი ნაწილი, რომელიც ვერ ეწყობა შეცვლილ ეკონომიურ პირობებს, ლატაკათ გადაქცეულა. ის მუდამ ყელამდის ვალებშია ჩაფლული და, წოდებრივი მედიდურობით აღვსილი, ფეოდალურ ფანტაზიებს ეძლევა. ამ ჯგუფთ მისდევენ ეგრეთწოდებული აგრარიები, ე. ი. ის გაბურჟუებული სოფლის მეურნენი, რომლებიც საკმაოთ შეეთვისენ ცხოვრების ახალ პირობებს. ამათ კარგათ შეიგნეს ახალი საშუალებანი სიმდიდრის მოსახვეჭათ. აი, თავად-აზნაურობის მხოლოთ ამ ჯგუფს უცემა სასიცოცხლოთ მკერდი. ეს ჯგუფი ითამაშებს კიდეც შესამჩნევ როლს ახლო მომავალში. უნდა შევნიშნოთ, რომ მას გარდა თავად-აზნაურებისა, ეკუთვნიან აგრეთვე „მაღალ ხარისხოვნებას“ მოკლებულნი ვაჭრები და სოფლის ბობოლები. ამ უკანასკნელთა გავლენას უნდა მივაწეროთ, რომ კაპიტალისტურ მიწათ-მომქმედთა შორის ვერ ვამჩნევთ იმ წოდებრივ ბოდვას, რომელსაც ვხედავთ „гражданинъ“-ის მკითხველებსა და თაყვანის მცემლებში. წარსულ წელს ჩვენ საზოგადოებრივ ჰორიზონტზე უფრო ამ აგრარიებმა მიიქციეს მეტი ყურადღება....

ამ გვარათ ძველი ფეოდალური საზოგადოებრივი შენობა დაინგრა, თავად-აზნაურობა და გლეხობა ერთმანეთში აირია და ახალ კლასებათ დანაწილდა. ქალაქი გაიზარდა და გაძლიერდა. თვით სოფელიც ახალ სოციალურ პირობებში ჩადგა. ამნაირათ, დიდი კაპიტალით შეიარაღებული ბურჟუა, რაციონალური სოფლის მეურნე, „ველური მებატონე“ (როგორც უწოდებს სალტიკოვი), წვრილი ბურჟუა, ქალაქის პროლეტარი — აი ვინ გამოვიდენ სოციალურ და პოლიტიკურ სარბიელზე.

ახლა ვიკითხოთ: რას აკეთებდენ ესენი წარსულ წელს, რას ელტოდენ და რას მიაღწიეს?

სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენელნი დაჟინებით თხოულობდენ „სამშობლო“ მრეწველობის მფარველობას და მის ახალ-ახალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ესენი დაუსრულებლივ ღაღადებდენ, რომ სადამოჟნო მფარველობითი წეს-რიგი შეუცვლელათ დარჩეს და მიწათ-მომქმედთა მოთხოვნილება მის შემცირებაზე შეწყნარებულ არ იქმნას, ხან კი შუამდგომლობდენ სადაც ჯერ არს რაიმე ახალი შეღავათი მიენიჭებინათ. ცდამ უქმათ არ ჩაუარათ. მათი ღაღადი არ დარჩა „ხმათ... უდაბნოსა შინა“. განხორციელდა ფულის რეფორმა, რამაც შედარებით გაამაგრა ვალიუტის (ფულის ღირებულება) მდგომარეობა და მით რუსეთმაც სათანადო ადგილი დაიჭირა საერთაშორისო აღებ-მიცემობაში. გაჰყავთ ახალ-ახალი რკინის გზები, სპარსეთის, ჩინეთის და სხვა მოსაზღვრე სახელმწიფოებისაკენ. მცირდება გადასატან-გადმოსატანი ფასი. ხელ-ახლათ იშინჯება სააქციონერო კანონმდებლობა; (მეტი ნაწილი კომისიებისა ბ. ციტოვიჩის თავმჯდომარეობით უპირატესობას აძლევს აქციონერულ კამპანიების თავისუფალ და სწრაფათ შედგენას და საქმეში წვრილ კაპიტალის დაბანდებას) არსდება სხვა-და სხვა „მეგობრული კავშირი“ და მრავალი ხელსაყრელი „მორიგებანი“. დიდ, წყნარ ოკეანის ნაპირზე იძენენ ახალ ნავთ სადგურს, რომელიც არასოდეს არ იყინება და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით ჩვენი „სამშობლო“ მრეწველობა თანდათან განვითარდა, გაძლიერდა და მთავრობის მოქმედების ჩარხათ შეიქმნა.

—Ъ.

(დასასრული იქნება)



## განთიადი.

შეხედეთ დიაღს
ნეტარ განთიადს
სხივ-მოციმციმეს, მოელვარესა,
როგორ ლამაზათ,
კოხტათ და ნაზათ
მოეშურება ქართველთ მხარესა:
არ უკუ ძრომით,
სწორ გზაზე დგომით,
შვება-განცხრომით!..

—

ხედავთ განთიადს,
რომ დევნის წყვდიადს!
ცისკარი უძღვის, თითქო ლამპარი!..
შუქი სინათლის,—
სიწრფელ-სიმართლის,
მას თანა მოსდევს... გააღეთ კარი!...
ულიმის პირი!..
აღარ აქვს ჭირი,
რომ გასაჭირი!!

—

ძგერს... ღელავს გული
აღელვებული!..
მას ეთანხმება გონება, გრძნობა!
იდევნის ბნელი,
სინათლეს ველი!..
ჰა! გათენდება! მაქვს ამის ცნობა...
მაშ, გაჰქრეს სევდა,
ვინც თავს, ბედს წყევდა,
თუ კი გათენდა!!.

—

მრწამს მე, მტკიცეთ მრწამს,
რომ ამ „სამ-ოთხ-წამს"
ბნელს გადეყრება თვისი ფარდები!
ერი ავს იცნობს,
თავის წყლულს იგრძნობს..





მეც კლდეში აღარ გადავვარდები!
მაშ, რათ ვიყვირო,
ვიმოთქმ-ვიტირო,
ლხინი ვიჭირო?!.

—

მიიხარით „ცეტი",
და "ნათლის სვეტი"
რომ წინ უძღოდათ ისრაელთ ძველათ,
ის სვეტი კვლავაც,
როგორც მაღლა ცა,
სუფევს... არა ზის ბნელ-გარესკნელათ!
ვინც თვალს აცეცებს,
იმ სვეტს დაეძებს,
სვეტიც მას ეძებს.

—

ვითმენ ჭირს მრავალს...
ველი მომავალს
აწინდელ ჭირის მიმომფანტველსა!
ვით ავათმყოფი,
უძლურათ მყოფი,
ველი კურნებას, ველი საშველსა..
გამრთელდეს გული!
გალაღდეს სული
დაობლებული!!.

—

კიდევ თქმას ვბედავ:
აქა-იქ ვხედავ
წმიდა ნაპერწკლებს მოციმციმებსა;
ძალ-მოლეულნი,
იბოლ-ეულნი
ბნელს ანათებენ დიდსა, მძიმესა..
ხან რაღაც ბუტვით,
მიმქრალათ, ბჟუტვით...
თვალების ჰუტვით..

—

ჰე, ნაპერწკალნო!
ძვირფასნო თვალნო!
შეთანხმ-შეზავდით, ჰქმენით ნაკვერცხალი!
ნაკურთხი ზეცით
ერს სითბო ეცით!
ცამდე აღაგზნეთ ღვთიური ალი!..
შემუსრეთ გველი,
თვალთ საზარელი,
გარედან ჭრელი!!.

დ. თომაშვილი,

## ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მოძრაობა.

### I. საგარეო ალებ-მიცემობა.

ჩვენი დრო კრიზისების ხანაა წარმოებაში. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ამ უკანასკნელ ხანებში, როცა ამიერ-კავკასიის წარმოება საკმარისათ გაიზარდა და მსოფლიო ბაზარზე ფეხი მოიკიდა, ჩვენშიაც დაიწყეს კრიზისებზე საუბარი მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში სიტყვა კრიზისს ხმარობენ იქ, სადაც ეს ყოვლად შეუძლებელია. პოლიტიკური ეკონომია გვეუბნება, რომ კრიზისი წარმოებაში და ალებ-მიცემობაში მაშინ ჩნდება, როცა დამზადებულ საქონელს ბაზარზე, არც შინ და არც გარეთ, გასავალი აღარ აქვს. აბა ახლა დამისახელეთ ის დარგი წარმოებისა, რომელიც ასეთ მდგომარეობაშია დღეს ჩვენში. ვგონებთ, დღეს თქვენ ვერ მოძებნით ჩვენში იმისთანა საქონელს, რომელსაც, ან შინ ან გარეთ, გასავალი, ე. ი. ბაზარი, არ ჰქონდეს. მართალია, ზოგიერთები გაიძახიან, რომ კრიზისი მძვინვარებს დღეს ჩვენი სიმინდის ალებ-მიცემობაში და ჭიათურის შავიქვის (მარგანეცის) წარმოებაშიო,— მაგრამ ეს ან განზრახ გამოგონებული ჭორია და ან პირდაპირ უვიცობის ნიშანი. საქმე იმაშია, რომ ამ ვაჭ-ბატონების აზრით, საქონლის ფასის დაწევა კრიზისს ნიშნავს! განა ამაზე მეტი გაუგებრობა და გზა-კვალის აბნევა შესაძლებელია? სიმინდის ფასმა დაიწია მსოფლიო ბაზარზე; ამიტომ ჩვენ სიმინდში წინანდელ ფასს აღარ იძლევიან საზღვარ-გარეთ და იმავე დროს ჩვენში გაიძახიან: სიმინდს კრიზისი გაუჩნდაო! თუ მაინდამაინც კრიზისი გნებავთ, იგი სიმინდის ალებ-მიცემობაში კი არ უნდა ეძებოთ, არამედ მთელი ჩვენი მეურნეობის სისტემაში, რომელიც თავის ძველი იარაღებით სრულებით აღარ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნილებას. სხვა ქვეყნებმა გააუმჯობესეს სიმინდის მოყვანის და საზოგადოთ მთელი მეურნეობის ტეხნიკური პირობები, და ამიტომ ჩვენზე ნაკლებათაც ყიდიან და კიდევაც იგებენ. მაგრამ რამდენათ შესაძლებელია ჩვენი სიმინდის ალებ მიცემობაში კრიზისის გაჩენაზე ლაპარაკი, ამას სიმინდის გატანის სტასტისტიკა დაგვანახებს.

საზღვარ გარეთ სიმინდის გატანა იმერეთიდან:

| წლები | რაოდენობა ფუთებათ | ღირებულება მანეთებით |
|---|---|---|
| 1886 | 4.444,826 | 2.915,444 |
| 1890 | 3.660,000 | 2.250,000 |
| 1893 | 6.309,900 | 3,451,569 |
| 1895 | 4.071,445 | 2.479,560 [1] |

[1] 1890 და 1895 წლის ციფრები შეიცავენ მხოლოთ ფოთიდან გატანილი სიმინდის რაოდენობას. წყაროები სტატიის ბოლოშია ნაჩვენები.

რაც შეეხება ჭიათურის მარგანეცის წარმოებას, აი ამის შესახებ ფაქტები: საზღვარ გარეთ მარგანეცი გაუტანიათ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1880 წელს | 250 | ათასი | ფუთი |
| 1885 — | 2.656 | — | — |
| 1890 — | 8.012 | — | — |
| 1897 — | 12.000 | — | — |

ესე იგი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში მარგანეცის წარმოება 4700% გაზდილა. ასეთი სწრაფი ზრდის მაგალითი ჩვენ მეორეც არ ვიცით წარმოების ისტორიაში. „მიუხედავათ იმისა, რომ დღეს უკანასკნელ წერტილამდეა კრიზისი ჭიათურის სადგურზე კვირაში კიდევ ჩამოდის შუათანა რიცხვით 300,000 ფუთი მარგანეციო“,—მწერს ამ დღეებში ერთი ჭიათურელი მეგობარი, რომელიც მარგანეცის წარმოებას დაახლოვებით იცნობს. ახლა თქვენ გასაჯეთ: განა იქ, სადაც წარმოება ასეთი თავბრუდასხმითი სიჩქარით იზრდება, სადაც ასეთი გაფაციცებითი მოძრაობაა, კრიზისზე ლაპარაკი შესაძლებელია, რომელიც საზოგადოთ წარმოების ან სრულიად შეჩერებას [1] ნიშნავს ან და მის შემცირებას? მაგრამ საქმე იმაშია, რომ მარგანეცის ფასი ჭიათურის სადგურზე ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევათ დაეცა [2]. რომ ამ ფასის დაცემასთან ერთათ მარგანეცის გატანა საზღვარგარეთ შემცირებულიყო ან და ერთ დონეზე გაჩერებულიყო, მარგანეცის კრიზისზე ლაპარაკს მხოლოთ მაშინ ექნებოდა საფუძველი. ფასის დაცემა კი წარმოების გადიდების აუცილებელი შედეგია, და ჭიათურის შავი ქვის წარმოება რომ შესანიშნავათ დიდდება, ეს ჩვენ დავინახეთ. თავის მხრით წარმოების გადიდება თანამედროვე პირობებში იმის მომასწავებელია, რომ წარმოებაში მხოლოთ მსხვილ კაპიტალისტებს რჩებათ ბურთი და მოედანი. წვრილი და შუათანა მწარმოებელნი კი სულ უფრო და უფრო მარცხდებიან მსხვილებთან ბრძოლაში. და სწორეთ ეს დღე დადგომიათ ამ ჟამათ ჭიათურის შავიქვის წვრილ და შუათანა მწარმოებელთ, და თუ გნებავთ ეს ხანა მათ ცხოვრებაში კრიზისის ხანაა, მაგრამ მათი ცხოვრება მარგანეცის წარმოების სიცოცხლეს ხომ არ შეადგენს. ამიტომ ერთი მხრით სრულებით გასაკვირველი არ არის, თუ ამ კრიზისის დროს შუათანა

[1] ზოგიერთებს მართლაც შეჩერებული გონიათ დღეს ჭიათურის მარგანეცის წარმოება.

[2] დღეს ფუთი მარგანეცი ჭიათურის სადგურზე 5 კაპ. ღირს; შარშან 6 კაპ. ღირდა და 1895 წელს კი 7—8 კაპ.

მწარმოებელი, წინანდელი უზომო მოგებით გაუზნეურებული, ბურანში მყოფ კაცსავით გაიძახის: კრიზისი, კრიზისიო! მაგრამ იმათ რამდენიც უნდა იყვირონ, შემდეგი ფაქტი მაინც ფაქტათ დარჩება: ჭიათურის შავი ქვის წარმოება შეუჩერებლათ იზრდება და თანდათან მსხვილი წარმოების ხასიათს ღებულობს 1).

მაგრამ თუ ჩვენ აქ მარგანეცის წარმოებაზე და სიმინდის ალებ-მიცემაზე შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ შემდეგი ფაქტის აღნიშვნა გვსურდა: ეკონომიურათ ჩვენი ქვეყანა დღეს საერთაშორისო წარმოების კალაპოტში ჩაყენებული, იგი საერთაშორისო წარმოების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ეს გარემოება ძალაუნებურათ გვაახლოვებს ჩვენ დაწინაურებულ ქვეყნებთან, გვხდის მოზიარებათ ერთი და იგივე ცივილიზაციისა და გვიადვილებს ახალი იდეების მიღებას. ამ მხრით ძლიერ საინტერესოა გავიგოთ ამ დაახლოვების წარსული. რომ ეს დაახლოვება მხოლოთ ნივთიერ ნიადაგზე, ე. ი. საქონლის ტრიალზე, ალებ-მიცემობაზე აღორძინდა და განვითარდა, ამას ლაპარაკი არ უნდა. მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან დაახლოვების ისტორიამ უნდა გაგვაგებინოს, ერთი მხრით, თუ როგორ თანდათან იმატა და გაიზარდა ჩვენი ქვეყნის საგარეო ალებ-მიცემობა და მეორე მხრით, თუ როგორ განვითარდა შინაური ალებ-მიცემობა და მრეწველობა. ეს საგანი მეტათ რთულია და ღირსი ვრცელი გამოკვლევისა. მიუხედავათ ამისა ჩვენ გვსურს აქ წარვუდგინოთ მკითხველს რამდენიმე სტატისტიკური და სხვა ცნობები ჩვენი ქვეყნის საალებ-მიცემო და სამრეწველო ისტორიიდან.

—

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როცა საქართველო შეუერთდა რუსეთს, ჩვენში არ არსებობდა არც ალებ მიცემობა და არც მრეწველობა, ამ სიტყვების დღევანდელი მნიშვნელობით. წარმოება წმინდა პატრიარქალურ-ნატურალური იყო: თითოეული ოჯახი, თითოეული მაზრა თავისივე ნაწარმოებით იკმაყოფილებდა თავის ყოველგვარ მოთხოვნილებას. საქართველო იმ დროს არ იყო შეზღუდული დამოჟნებით და ერთნაირათ საგარეო ალებ მიცემობას სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული, მაგრამ მეორე მხრით, თვით ეს გარემოება აშკარათ გვითითებს ჩვენი ქვეყნის მაშინდელ სისუსტეზე და ეკონომიურათ დაქვეითებაზე. სულ სხვას წარმოადგენდა იმ დროს რუსეთი. მართალია, მთელ ამ ვეებერთელა ქვეყანას ჯერ კიდევ პატრიარქალურ-ნატურალური წარმოების ფერი ედვა, მაგრამ ალებ-მიცემობას და მრეწველობას უკვე საკმარისათ ჰქონდა თავი ნაჩენი. და აი სწორეთ ამ ახლათ დაბადებული „სამშობლო მრეწველობის“ (отечественная промышленность) ასაღორძინებლათ და გასაძლიერებლათ რუსეთის მთავრობამ ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეშივე შემოიღო ეგრეთ წოდებული აკრძალვითი სისტემა (запретительная система), რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ უცხოეთიდან ფაბრიკულ და ქარხნულ ნაწარმოებთა შემოტანა აკრძალული იყო, და თუ შემოტანის ნება იქნებოდა, დიდ ბაჟს ახდევინებდნენ.

ცხადია, რომ ასეთი სასტიკი სადამოჟნო წესდება საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ წლებში ჩვენში ვერ გამოდგებოდა. ამიტომ თუმცა 1803 წელს შემოღებულ იქმნა აქაც რუსეთის სადამოჟნო წესდება, მაგრამ 1807 წელს მთავრობამვე შეაჩერა დროებით მისი მოქმედება. შემდეგ რომელ წელში იქმნა იგი ხელახლა შემოღებული, ჩვენ ამის ცნობა არა გვაქვს. ვიცით მხოლოთ, რომ 1821 წელს მაშინდელმა მთავარმართებელმა ერმოლოვმა უცხოეთის ნაწარმოების შემოტანის გასაძლიერებლათ გამოითხოვა უმაღლესი მთავრობისაგან ამიერ-კავკასიისათვის შეღავათიანი სადამოჟნო ტარიფი, ათი წლის ვადით. ამ ტარიფის ძალით უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე უნდა გადაეხადათ მხოლოთ 5% ბაჟი გამოცხადებულ ფასზე. 1821 წელს ახალი სადამოჟნო წესდებით უცხოეთიდან შემოტანილ იქმნა ამიერ-კავკასიაში სულ 825,985 მანეთის საქონელი და გაიტანეს საზღვარგარეთ სულ 463,135 მანეთის. შვიდი წლის შემდეგ, ე. ი. 1828 წელს საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანამ მიაღწია 2.968,090 მანეთამდე. 1832 წელს ამიერ კავკასიაზე გავრცელდა რუსეთის სადამოჟნო ტარიფი, რამაც შესამჩნევათ დასცა როგორც შემოტანა, ისე გატანა: 1832 წელს შემოტანა ჩამოვიდა 631,653 მანეთამდე; ხოლო გატანას ეს შემდეგ წელში დაეტყო, ვინაიდგან 1832 წ. იგი 1.355,519 მანეთით გამოიხატებოდა და 1833 წელს კი 336,724 მანეთამდე ჩამოვიდა.

1846 წელს თ-დ ვარანცოვმა ხელახლა იშუამდგომლა სადამოჟნო ბაჟების შემცირება ამიერ-კავკასიისთვის.

| | შემოიტანეს | გაიტანეს |
|---|---|---|
| 1846 წელს | 3.892,468 | 735,465 |

1) ეს ფაქტი კარგათ შეუგნიათ „Проектъ устава Синдиката кавк. марганцепромышленниковъ“-ის შემდგენლებს! (იხ. §§ 6 და 45 პროექტისა). ამ წესდებას ბევრი საერთო აქვს ბაქოს ნავთის მწარმოებლების წესდებასთან: общій союзъ бакин. керосинозаводчиковъ.

1849 — 4.533,888 725,180

1850 წელს ისევ შემოღებულ იქმნა რუსეთის სადამოჟნო ტარიფი, ე. ი. უცხოეთიდან შემოსატან საქონელს ბაჟი მოემატა, მაგრამ მიუხედავათ ამისა უცხოეთის საქონლის მოთხოვნილება იმდენათ გაიზარდა, რომ შემდეგ წლებში შემოტანამ ასე იმატა:

| წლები | შემოიტანეს საზღვარგარეთიდან | გაიტანეს საზღვარგარეთ |
|---|---|---|
| 1851 | 4.193,433 მ. | 1.104,800 მ. |
| 1864 | 7.476,000 ,, | 4.665,000 ,, |
| 1870 | 11.477,000 ,, | 3.932.000 ,, |

ეს ციფრები ნათლათ გვიმტკიცებენ, თუ როგორ იმატა მესამოცე წლებში საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანამ: 4 მილიონიდან 1851 წელს იგი ავიდა $11^1/_2$ მილიონამდე 1870 წელს. ამავე ხნის განმავლობაში გატანამაც იმატა, სახელდობ $255,9^0/_0$, მაშინ როცა შემოტანამ მხოლოთ $173,69^0/_0$ გაიზარდა. ამნაირათ მესამოცე წლებში გატანას აბსოლიუტურათ უფრო უმატია, ვინემ შემოტანას, თუმც ეს უკანასკნელი მაინც ბევრით ჭარბობდა მას. ახლა ვიკითხოთ: 1870 წლამდის უმეტესათ რა საქონელი შემოქონდათ და რა გაქონდათ საზღვარგარეთ. შემოქონდათ: ბამბეულობა, მეტალები და მეტალის ნაწარმოებნი, შალეულობა, აბრეშუმეულობა (ფარჩა), შაქარი, ჩაი და სხვ. გაქონდათ ჩვენგან: აბრეშუმის პარკი, ამოხვეული აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, მეტალები, ტყავი, ხორბალი (უმეტეს ნაწილათ სიმინდი) და სხვ.

აქ ყურადღების ღირსია შემდეგი გარემოება: 1870 წლამდის საზღვარგარეთიდან შემოტანა თანდათან მატულობს და ადის $11^1/_2$ მილიონ მანეთამდე. ამ წლიდან დაწყებული საზღვარგარეთიდან შემოტანა შესამჩნევათ კლებულობს და მხოლოთ ამ უკანასკნელ წლებში აჭარბებს ამ რიცხვს. ეს გარემოება იმით კი არ აიხსნება, რომ ამიერ-კავკასიაში საქონლის მოთხოვნილება შემცირებულიყოს. სრულებითაც არა: პირიქით, მოთხოვნილებამ თითქმის ერთი ორათ იმატა, მაგრამ 1870 წლის შემდეგ საზღვარგარეთის საქონლის მაგიერობას რუსეთიდან მოტანილი საქონელი ასრულებს 1871 წელს 14 აგვისტოს გაიხსნა ფოთი—თფილისის რკინის გზა. სხვათა შორის ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი ამიერ-კავკასიასა და რუსეთ შორის აღებ-მიცემობის გაძლიერებას. მოვიყვანოთ აქ ამის შესახებ სტატისტიკური ცნობები.

აღებ მიცემობა რუსეთთან:

| წლები | შემოტანა (მანეთებით) | გატანა |
|---|---|---|
| 1872 | 5.333,783 | 1.908,141 |
| 1876 | 11.923,262 | 2.871,856 |

იმავე წლებში აღებ-მიცემობა უცხოეთთან:

| წლები | შემოტანა (მანეთებით) | გატანა |
|---|---|---|
| 1872 | 9.451,029 | 5.629,413 |
| 1876 | 8.310,546 | 6.118,453 |

ამნაირათ თუმც საზღვარგარეთიდან შემოტანილმა საქონელმა იკლო რამდენიმეთ, მაგრამ სამაგიეროთ იმავე ხნის განმავლობაში შესამჩნევათ იმატა რუსეთიდან შემოტანილ საქონლის რიცხვმა, ასე რომ ხუთი წლის განმავლობაში შემოტანა (რუსეთიდან) გადიდდა 6.589,479 მანეთით, ე. ი. $123^1/_2{}^0/_0$.

თუ საერთო შემოტანას საერთო გატანას შევუფარდებთ იმავე წლებში, გამოვა:

| წლები | საერთო შემოტანა | საერთო გატანა |
|---|---|---|
| 1872 | 14.781,812 მ. | 7.537,554 მ. |
| 1876 | 20.233,807 ,, | 8.990,309 ,, |

მაშასადამე, 1872 წელს ჩვენი ქვეყნიდან საზღვარგარეთ და რუსეთში გაუტანიათ მხოლოთ იმის ნახევარი, რაც შემოუტანიათ, 1876 წელს კი შემოტანა ბევრათ მეტია გატანაზე. ამნაირათ საქონლის საერთო შემოტანა ამიერ კავკასიაში პირველათ საზღვარგარეთიდან და შემდეგ რუსეთიდანაც მეოთხმოცე წლებამდის ბევრათ მეტია საერთო გატანაზე. ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინ როცა საზღვარგარეთიდან შემოტანა მესამოცდაათე წლებში ცოტცოტათი კლებულობს, რუსეთიდან შემოტანა თანდათან მატულობს.

| წლები | შემოტანა ევროპის ნაწარმოებთა | შემოტანა რუსეთის ნაწარმოებთა შავი ზღვით |
|---|---|---|
| 1873 | 7.826,790 მ. | 4.992,296 მ. |
| 1881 | 7.951,421 *) | 15.835,133 ,, |

ახლა რომ ავიღოთ 1862—1881 წლები და გამოვიანგარიშოთ წლიური შუათანა აღებმიცემობა საზღვარგარეთთან, ე. ი. შემოტანა და გატანა, აი რას დავინახავთ:

1862—1882 წლები:

| მთელი აღებმიცემობა | გატანა | შემოტანა |
|---|---|---|
| 13.353,000 მან.; | 5.274,000 მ.; | 8.079,000 მ. |

---

*) როცა საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანის კლებაზე ვლაპარაკობთ, აქ მხოლოთ მესამოცდაათე წლები გვაქვს მხედველობაში; მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლებში იგი თანდათან მატულობს.

ხუთი წლის შემდეგ გარემოება ასე შეიცვალა:

1886 წ.

საზღვარგარეთთან

მთელი ალებ-მიცემობა შემოტანა გატანა

39.264,547 მ.; 27.812,402 მ. 11.452,145 მ.

ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ თუ მეოთხმოცე წლების დასაწყისში შუათანა წლიური შემოტანა საზღვარგარეთიდან აღემატებოდა გატანას 2.805,000 მანეთით, 1886 წელს პირიქით გატანამ საზღვარგარეთ 16.360,257 მანეთით გადააჭარბა შემოტანას. ამ ცვლილების მნიშვნელობას რამდენიმეთ წარმოვიდგენთ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საზღვარგარეთ გატანის ასეთი გადიდება დამოკიდებულია უმეტესათ ნავთეულობის და მარგანეცის წარმოებაზე. ავიღოთ ახლა კიდევ 1893 წელი, რომელზედაც ჩვენ უფრო სრული ცნობები გვაქვს, გავშინჯოთ ამ წლის ამიერ-კავკასიის ალებ-მიცემობა საზღვარგარეთთან და მაშინ ჩვენ ნათლათ დავინახავთ, თუ ერთი მხრით, როგორ თან და თან იზრდება ამიერ-კავკასიის საგარეო ალებ-მიცემობა და მეორე მრხით თუ როგორ ძირიანათ შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა ევროპასთან და საზოგადოთ საზღვარ გარეთთან ამ უკანასკნელი ათ-თხუთმეტი წლის განმავლობაში.

1893 წ.

საზღვარგარეთთან

მთელი ალებ-მიცემობა შემოტანა გატანა

55.895,000 მ.; 39.358,000 მ.; 16.477,000 მ.

მაშასადამე, შუათანა რიცხვით ამიერ კავკასიიდან დღეს $2^1/_2$ ჯერ მეტი გააქვთ, ვინემ შემოაქვთ ხოლმე საზღვარგარეთიდან. თუ ამიერ-კავკასიის საგარეო ალებ-მიცემობას შევუფარდებთ მთელი რუსეთის საგარეო ალებ-მიცემობას, დავინახავთ:

ავიღოთ 1870 და 1893 წლები. 1870 წელს, საქონლის გატანა საზღვარგარეთ მთელი რუსეთიდან 360 მილიონ მანეთით გამოიხატებოდა, შემოტანა კი 335,9 მილიონით, ე. ი. შემოტანა 24 მილიონით აღემატებოდა გატანას. 1893 წელს მთელი რუსეთიდან გაუტანიათ 599,2 მილიონი მანეთის საქონელი და შემოუტანიათ იმავე წელს საზღვარგარეთიდან 449,6 მილიონისა. მაშასადამე, ოცდა სამი წლის განმავლობაში რუსეთიდან საქონლის გატანას უმატია 66,44% და შემოტანას კი 33,84%. ამიერ-კავკასიის საგარეო ალებ-მიცემობას კი შემდეგი პროცენტებით უმატია: გატანას 900,9% და შემოტანას $43^1/_2$%. თუ როგორ გაიზარდა რუსეთის საგარეო ალებ-მიცემობასთან შედარებით ამიერ კავკასიის საგარეო ალებ მიცემობა, ეს კიდევ უფრო ნათლათ იმ გარემოებიდან ჩანს, რომ 1870 წელს ამიერ-კავკასიის საგარეო ალებ-მიცემობა მთელი რუსეთის საგარეო ალებ-მიცემობის $^1/_{45}$ ნაწილს შეადგენდა და 1893 წ. კი $^1/_{18}$. თუ მარტო გატანას ვიქონიებთ მხედველობაში, 1870 წ. ამიერ კავკასიიდან საზღვარგარეთ საქონლის გატანა შეადგენდა $^1/_{91}$ ნაწილს მთელი გატანისა რუსეთიდან, 1893 წელს კი $^1/_{15}$.

რომ დაახლოვებით მართალი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რა და რა საქონელი ან რა სახით გააქვთ დღეს ამიერ-კავკასიიდან საზღვარგარეთ, მოვიყვანოთ აქ უმთავრეს საქონელთა სია, რომლებიც გაიტანეს 1893 წელს ბათომის და ფოთის ბოლაზებიდან საზღვარგარეთ.

ბ ა თ ო მ ი დ ა ნ:

| რა და რა საქონელი | რაოდენობა ფუთებათ. | ღირებულება მანეთებათ |
|---|---|---|
| ნავთეულება . . . . . | 55.398,994 | 18.219,472 |
| მირტკბილა . . . . . | 1.110,693 | 1.110,698 |
| გაურეცხელი მატყლ. | 175,745 | 1.238,007 |
| სიმინდი . . . . . | 203,256 | 121,667 |
| შალის ხალიჩები. . . . | 22,114 | 53,161 |
| აბრეშუმი სხვა და-სხვა სახით. . . . . | 20,112 | 849,240 |
| ტყავი. . . . . . . . . . | 46,505 | 450,380 |

ფ ო თ ი დ ა ნ:

| | | |
|---|---|---|
| მარგანეცი . . . . . | 7.140,067 | 2.966,436 |
| სიმინდი . . . . . . . . . | 4.288,693 | 2.249,094 |
| ხე-ტყე . . . . . | 64,155 | 42,198 |

იმავე წელს შემოიტანეს საზღვარგარეთიდან ამიერ-კავკასიაში ბათომის ბოლაზით.

| რა და რა საქონელი. | რაოდენობა ფუთებათ. | ღირებულება მანეთებათ. |
|---|---|---|
| ხის ფიცრები და კუნძები — — | 2.350,268 | 596,287 |
| ჩაი — — | 2.002,581 | 5.721,160 |
| თუთუნი — — | $38,983^1/_2$ | 437,780 |
| რკინა — — | 162,662 | 328,558 |
| გოგირდი — — | $308,108^1/_2$ | 133,314 |
| ტყვია — — | 56,346 | 123,012 |
| ნატრი და კალი — | $75,437^1/_2$ | 124,673 |

ეს ცხრილები ნათლათ გველაპარაკება, თუ რა და რა საქონელი გააქვთ ამიერ კავკასიიდან საზღვარგარეთ და რა შემოაქვთ იქიდან ჩვენში. წინეთ საზღვარგარეთიდან შემოქონდათ ჩვენში უმეტეს ნაწილათ მანუფაქტურული ნაწარმოებნი და სხვა და სხვა წვრილი ხორაგი; დღეს კი არც ერთი ამ ნაწარმოებთაგანი აღარ მოაქვთ იქიდან. ყოველისავე ამას გვიგზავნის ჩვენ დღეს რუსეთი და პოლონეთი. სამწუხაროთ, ამ ჟამათ ჩვენ არა გვაქვს ხელში ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მანეთის საქონელი შე-

მოაქეთ დღეს ამიერ-კავკასიაში რუსეთიდან და ან რამდენი გააქეთ იქ. თუ რა აღებმიცემებითი ურთიერთობა არსებობს რუსეთსა და ამიერ-კავკასიას შორის, ამას ჩვენ ვხედავთ რამდენიმეთ შემდეგი ფაქტიდან: 1893 წელს საზღვარგარეთიდან ბათომისა და ფოთის ბოღაზებში შემოვიდენ გემები:

ბათუმისაში

| | ორთქლიანი | იალქიანი | სულ |
|---|---|---|---|
| უცხოეთის: . . | 1071 ; | 468 | 1539 |
| რუსეთის (კაბოტაჟი): | 1087 ; | 125 | 1212 |
| **ფოთისაში:** | | | |
| უცხოეთის . . | 95 | 12 | 107 |
| რუსეთის . . | 419 | 64 | 483 |

მაშასადამე, უცხოეთიდან ბათუმის და ფოთის ბოღაზებში 1893 წელს სულ 1646 გემი შემოსულა და რუსეთიდან კი 1695, ე. ი. რუსეთიდან 49 გემით მეტი შემოსულა ამ ორ ბოღაზში. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს ამიერ-კავკასიის აღებმიცემობაში რუსეთს, რასაც კიდევ უფრო თვალსაჩინოთ ბაქოს ბოღაზი გვიმტკიცებს. 1893 წელს ბაქოში შემოვიდა გემები: რუსეთის პორტებიდან: ორთქლიანი 3,758, იალქიანი 2,405, სულ 6,163. საზღვარგარეთის (სპარსეთის): ორთქლიანი 302, იალქიანი 216, სულ 518. იმავე წელს რუსეთის ბოღაზებიდან ყოველგვარი საქონელი შემოვიდა ბაქოში 12.214,636 ფუთი, ე. ი. წინანდელ წელიწადზე მეტი 678,338 ფუთით. გატანილ იქმნა რუსეთის ბოღაზებში 172.103,000 ფ. საქონ. 28.341,785 მანეთის საღირალი, ანუ 19% მეტი, ვინემ 1892 წელს. იმავე წელს ბაქოში შემოტანილ იქმნა საზღვარ გარეთიდან (სპარსეთიდან) 4.726,983 მანეთის საქონელი, ანუ ერთი მილიონით მეტი, ვინემ 1892 წელს; გაიტანეს სპარსეთში 8.040,220 მანეთის, წინანდელ წელიწადზე 896,048 მანეთით მეტი.

ასეთი უზარმაზარი, კოლოსალური, ზრდა ამიერ-კავკასიის აღებმიცემისა დიდი ხნის ამბავი როდია: ეს რაღაც ათი თხუთმეტი წლის საქმეა. რომ ამ უკანასკნელი წლების ანგარიშიც გვქონოდა ხელში, ამ ზრდას უფრო თვალსაჩინოთ და ნათლათ დავანახვებდით მკითხველს. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ერთი მხრით იმ გარემოებას, რომ თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება ყოველ წამში აფართოვებს თავის მოქმედებას და მეორე მხრით იმ ფაქტს, რომ დღეს ამიერ-კავკასიის რკინის გზა თავისი შტოებით, როგორც პასაჟირების გადაყვან-გადმოყვანაში, ისე საქონლის გადაზიდვ-გადმოზიდვაში, უმაღლეს ხარისხამდეა მისული [1],—ვიმეორებთ თუ ყოველსავე ამას მივიღებთ მხედველობაში, იმ უტყუარ დასკვნამდე მივალთ, რომ ამიერ-კავკასიის აღებ-მიცემობა საზღვარგარეთთან და რუსეთთან შეუჩერებელი ნაბიჯით მიდის წინ, რომ იგი შესანიშნავი სისწრაფით იზრდება.

ფ. მახარაძე.

(შემდეგი იქნება)

## საახალწლო საუბარი.

ვაი! მომკლეს, მომკლეს... ვაი წელო, წელო. ვკვდები, მიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანი!.. ბარინწიანი ხმით იძახდა ვიღაც, ქალაქის განაპირა შარაზე და თანაც საცოდავათ ეკრუნჩხებოდა ჩირგვებს. საწყალი ბებერი! უნდოდა თავი როგორმე გადაერჩინა, მაგრამ ხალხთაგან გამოტყორცნილი ტყვია, ქოლოკი, ქვა და ათასი რამ ისე პირდა-პირ ხვდებოდა იმის კუზიან ზურგს, თითქო, ღამის ათი საათი კი არა, შუა დღეაო. გრრრ... დაიგრიალა თოფებმა და თანაც საშინელი ქრიამული მოისმა. თოვლით დაფარულ არე მარეში ქარს კორიანტელი აჰქონდა და ამ ზუზუნს ხალხის ულმობელი ხმა უერთდებოდა: „მოვკლათ ეს კუდიანი, ტყვია, ქვა, ლოდი მაგასაო". მოხუცი აქეთ-იქით ატრიალებდა კვინიხში ღრმათ წასულ თვალებს, ჰკრთოდა, კანკალებდა, ძლივსღა მაათრევდა შემხმარ წვივებს.

—ოი! თქვენი ოჯახი კი ამოაგდოს ჩემმა გამჩენმა!- წვერის ცანცარით ჩაიბურდღულა ბებერმა და გამწარებულმა ხელი გადაისვა თეძოზე. ქვა ჰერხიით მოდიოდა, ზოგს ბახაბუხი გაჰქონდა ბებერის ტანზე და ზოგიც ძირს ვარდებოდა. აი, ერთიც ლაზათიანი ქოლოკი მოხვდა ბებერს კანჭებში და ღონემიხდილი კაცი იქვე ჩაიკეცა.

—მოვკვდი, მოვკვდი!... წამოიკრუსუნა ბებერმა და თვალთ დაუბნელდა.

---

[1]) ამას წინეთ გაზეთებში შემდეგი ამბავი იყო დაბეჭდილი: „უკანასკნელ დროს ნავთის გატანა რკინის გზით ისე გაძლიერდა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზა მას ვეღარ აკმაყოფილებსო ელოდებიან, ახლო მომავალში ნავთის მილი დაიწყება მოქმედებასო". ამის შესახებ ბ-ნი არღუთაშვილი მხარგრძელი ერთი წლის წინეთ წერდა: „მოძრაობა ამიერ კავკასიის რკინის გზის ბათომის და ფოთის ნაწილზე იმდენათ დიდია, რომ გრაფიკი სრულებით გავსებულია,... და იმავე დროს კი მოძრაობა, ეკონომიური განვითარების მიერ გამოწვეული, ყოველწლივ იზრდება". Исторія сооруженія и эксплоатаціи зак. жел. дороги., გვ. 433.

—ვინა ხარ, ბაბუა, რა დაგემართა?! ჩაესმა მოხუცს ვიღაცის ხმა.

—მე.. მე..—დიდხანს ხმა ველარ ამოიღო მოხუცმა—მე... ნუ თუ არ იცი—ვინა ვარ? ვინა ვარ და ჯანდაბა და ჯარხანა ჩემს ვინაობასაც და აქ მოსვლასაც. რა ეშმაკი და ქაჯი მომარბენინებდა ამ მართლა და საქაჯეთში?! ვაი წელო, ვაი თეძო, თეძო... ვკვდები, მიშველეთ...

—ნუ გეშინია, ბაბუა! რაკი მე აქა ვარ, ვერაფერს გაგიბედავენ,—დაიმედა ჭაბუკმა.—რას გემართლებიან, ვინ არიან ეს ულმობელნი, რომ მოხუცი ასე დაუჯაბნებიხართ!.. რას კრთი? დაწყნარდი, სული მოიბრუნე.

—რაღა მოვიბრუნო, რაც თითქმის აღარა მაქვს. ვკვდები,—შვილო, ვკვდები... ვაი, წელო,—წამოიწყო ხელ-ახლათ მოხუცმა და თანაც საშინელი ხველა აუვარდა. დიდხანს ახველა ბებერმა და შემდეგ გაოცებული შეაშტერდა მის წინ მდგომ უცხო ჭაბუკს. საწყალს, როგორ ნათლათ წარმოუდგა თვისი სიყმაწვილე!.. იცნო, ახლა ძალიან კარგათ იცნო, ვინც იყო ეს უცხო მგზავრი...

—შენ საიდან უნდა მიცნობდე, შვილო,—გულდაწყვეტით თქვა ბებერმა,—მე შენი წინამოადგილე, —ძველი წელიწადი—ვარ. შარშან ამ დროს მეც შენსავით მოვიხაროდ—მოვიჩქაროდი აქეთ, მაგრამ დღეს, ხომ ხედავ, რა ვაი-უით მისტუმრებენ! ნეტავი შენც ჩემი დღე კი არ დაგადგეს და......

—ჩემი წინამოადგილე?!—გაკვირვებით წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა. მაშ, კაი დროს შევხვედრივართ ერთმანეთს: მე სიკვდილს გადაგარჩინე და შენც ნაკლებათ არ დამეხმარები: შემატყობინებ ამ ქვეყნის ავ-კარგს! ხომ?

—დიახაც, დიახაც, რაც კი შემიძლია, მაგრამ ისე ვთრთი, ისე დასუსტებული ვარ, რომ მეშინია შენ საჭირბოროტოთ არ გავხდე, აქვე სული არ დავლიო. ვაი, ვაი, მუხლის კვირისტავში გამწვა... ოჰ, ოჰ, ის წყეულები... ერთი, მამიშენის ცხონებას, არაყი ხომ არა გაქვს, რომ გადამაყლაპო. საშინლათ მარგებს... კარგია ის ღვთის მოგონილი...

—არაყი ვინ მომცა ამ შუაღამისას, მოხუცო, მაგისთანებს აქ ვერ გიშოვი და თუ სახლში მესტუმრები, მე ვიცი როგორც გიმასპინძლებ. ნუ გეშინია, გამაგრდი, ჰა!

—არა, შე კურთხეულის შვილო, თავი ხომ არ მოგძულებია ასეთი სამსახური რომ გიკისრებია? განა თავ-მოუძულებელი აქ მოსვლას გაბედავს? სულ კბილები ჩამამტვრიეს იმ არამზადებმა... ოჰ, სად არის ახლა ერთი ჭიქა არაყი, რომ ამომავალი სული ჩამიბრუნოს!!

—ვაი, რა ცუდი ადგილია! თუ შენ მეტყვი, ძალიან დაგიმადლებ, საჭიროაც არის ჩემთვის, ვიცოდე რა ჯურის ხალხთან მექნება საქმე, რომ მეც იმათ სასიამოვნოთ მოვიქცე. ხომ გაგიგონია: „რა ქვეყანაშიც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო“.

—ვაი, რომ მე აღარას მარგებს, თორემ შენთვის კარგათ გამოსადეგია ჩემი გამოცდილება. ჰო, ის უნდა მეთქვა. ქუდს თუ სულაც არ დაიხურავ, უკეთესი იქნება. ქუდი კაცის თავს ამძიმებს და მძიმე თავი, ხომ მოგეხსენება, ახლანდელ დროში მეტი ბარგია. თუ მაინცა და მაინც გინდა ქუდი დაიხურო, ესე იგი იმისთვის, რომ თავი არ გაგიცივდეს,—დაიხურე ისეთი ქუდი, რომელიც ორნაირი იყოს—სარჩული სხვა და საპირე სხვა. თუ შენიანს შეხვდე, ქუდი ისე დაიხურე, როგორც მას ახურავს, თუ სხვას—ქუდი მეორე პირზე გადააბრუნე და ასე ამრიგათ... ეს საუკეთესო საშუალებაა მაგ ანდაზის ასასრულებლათ. და სადაც უნდა წახვიდე, ეს ქუდი ცოტა სამსახურს არ გაგიწევს...

—კი, მაგრამ...

—რა მაგრამ!! შენა გგონია, მე ვერ მივხვდი რომელ ქუდზედაც ლაპარაკობ თუ! ახლა ქუდს, ესე იგი თავის სარქველს იმდენი მნიშვნელობა აქვს, რამდენიც უწინდელ დროში კუდს ჰქონდა! რას მომჩერებიხარ? თუ ჩემი სიტყვა არა გჯერა, მიდი შენ ახალ სამთავროში და შენი ყურითვე გაიგონებ, რომ ზოგიერთი „განათლებული“ მანდილოსანი,—უკაცრავათ, მანდილოსანი კი არა ქუდოსან-კუდოსანი“—ქუდის მაგივრათ „კუდიო“ იტყვის. „არ უსწავლია და რა ქნას“!..

—ნუ თუ!? მერე კაცები რაღას ამბობენ, როცა ასეთ არევ-დარევას ამჩნევენ ცხოვრებაში? განა ისინი გულ-გრილათ უყურებენ ამას?

კაცები... აბა როგორ აგიხსნა! კაცები ყოველგვარ საქმეში ორ სხვა და სხვა ნაწილათ არიან გაყოფილნი: ერთს ეწოდება წვრილ-ფეხობა და მეორეს მსხვილ-ფეხობა. პირველნი საერთო ინტერესს იცავენ, მუქთა-ყლაპიებს ეწინააღმდეგებიან, პროგრესისაკენ მიილტვიან და ქალთა ავკარგიანობაც იმგვარ საყურადღებოთვე მიაჩნიათ, როგორც ერთი სხვა რამ უპირველესი საგანი ცხოვრებაში. მეორენი კი... ისინი საკუთარ ჯიბეს ივსებენ, ღიპს იზრდიან, და წარსულით ამაყობენ... რაც შეეხება ქალთა შესახებ საქმეს, ღმერთმა დაიფაროს, სახელსაც კი ნურავინ გაახსენებს ქალისას. თუმცა... ჩვენ შორის კი დარჩეს ძ ზოგიერთ „ქალებს“ ფერხთა მტვერათაც კი ეგებიან...

—რაო, რაო? ერთი, თუ ღმერთი გწამს, კარგათ გამაგებინე,—შეეხვეწა ყმაწვილი.

—დამეთხოვე ერთი, ხათაბალაში გამხვევ, წაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდება სადმე და ჩემს ძვლებსაც აღარ მოასვენებენ სამარეში,—გააქნია ხელი ბებერმა და მორთო კვნესა.

—წამცდება რომელია. კაცის ნამუსი საიდუმლოს შენახვით გამოჩნდება. მე ხომ ბავში არა ვარ რომ ეგრე „უპრაგონოთ“ წამოვიყრანტალო ყველაფერი!

—ბავში კი არა, ბღარტიც ხარ...

—რითი?

—იმითი, რომ ასი წლისა არა ხარ. დიახ, ას წლამდე ყველა ბღარტათ ითვლება.

—რას ამბობ მოხუცო? რა დროს ჩემი ბღარტობაა! შენ ეს სიკეთე მიყავი, ყოველ ჩემ კითხვაზე მიპასუხე და საიდუმლოს შენახვისა ნუ გეფიქრება, აპა ჰე, შევუდგეთ საქმეს.—მეგობრული კილოთი უთხრა ყმაწვილმა.

—კარგი, კარგი! მოგახსენებ ყველაფერს, რასაც კი მკითხავ... მაგრამ, შენ გეთაყვანე, ფრთხილათ იყავი, არავისთან წამცდეს და სხვის ყბაში არ ჩამაგდო. ხომ იცი....

—ვიცი, ვიცი. ნუ გეშინია: მითხარი რა ამბავია ქვეყანაზე?

—შური, მტრობა, ერთმანეთის ლანძღვა, „ქურდობა“, „პოდლოდი“ და „დონოსი“-ო—მიუგო ბებერმა.

—რას შვრება მოსამართლე?

—ასამართლებს იმ კაცს, რომელსაც ცოლი წაართვა, და ციმბირში გაგზავნასაც უპირებს.

—რას შვრება ადგილობრივი „პრესსა“?

—სარედაქციო „პრესში“ ატარებს ყველა იმ წერილებს, რომელზედაც ფასია დადებული, ხოლო მუქთებს გზავნის „საპრესავსა“ შინა სტამბისასა.

—რას აკეთებს განათლებული თაობა?

—ცდილობს, მაგრამ ვერ „გაანათლა“ ქალაქის მიბნელებული ქუჩები.

—რას აკეთებენ ქალაქის სანიტარები? ჩანს თუ არა იმათი მოღვაწეობის შედეგი?

—დიახ, ჩანს! ყოველ ადგილას შეხვდებით ბლომათ დაგროვებულ ნაგავს, მკვდარ კატებს, თაგვებს, კომბოსტოს ფოთლებს, ნარეცხ ჰუჰყიან წყალს, ყელამდის ტალახს, წუმპეს და ვინ მოთვლის კიდევ—რას?.

—სად არიან „მარილნი“ ქვეყნისა, რომ ხმას არ იღებენ?

—დნებიან ავჭალის წყლის მილსა შინა, რათა ზაფხულში უწყლოთ დარჩენილ მცხოვრებთ წყურვილი მოუკლან.

—რას შვრებიან ქალაქის ხმოსნები?

—ხმოსნობენ და ლაღადებენ!

—რას?

—უთავობას.

—რას შვრებიან რედაქტორები?

—გულ-და-გულ კითხულობენ... „საჰონორარო“ ანგარიშებს—მეტი სტრიქონი ხომ არ უანგარიშებიათო.

—რას აკეთებს „წერა-კითხვის“ საზოგადოება?

—წერს და კითხულობს.

—რას წერს?

—წევრებთან გასაგზავნ ბარათებს საწევრო ფულის შემოსატანათ.

—რას კითხულობს?

ძველ დავთრებს, ნისიათ მიცემულ წიგნებს „დავნოსტი“ ხომ არ გაუვიდა და ფულის აღებას ველირსებით თუ არაო.

—რას აკეთებს „გამომცემელი ამხანაგობა“?

—სცემს.

—რას?

—თაროზე დაწყობილ წიგნებს, რომელნიც მეტის სიძვირისა გამო საფარეელსა ქვეშე მტვრისასა განისვენებენ... ხომ მოგეხსენება, თუ არ გაიბერტყა მტვერი ჩააჯდება... და მტვრის მოსაშორებლათ ცემაა საჭირო.

—რას შვრებიან ახალგაზდა ქალები?

—ცდილობენ.

—რას?

—გათხოვებას, რასაკვირველია, თუ მდიდარი სულელი ნახეს.

—გათხოვილები რაღას აკეთებენ?

—ისინიც ცდილობენ!

—რას?

—ქმრის გაშორებას!

—რას შვრებიან უმაღლესი წრის დედანი?

—შვილებთან დედინაცვლობენ, ქმრებთან—ქმარ ნაცვლობენ, და ერთმანეთს შორის კი ქიშპობენ.

—რაზე?

—სადონჟუანო საგანზე...

—მერე, რა ბოლო მოსდევს ამგვარ ქიშპობას?

—ბოლო მოსდევს ქოლგისა... და თუ გაჭირდა საქმე, ტარიც იმავე ქოლგისა მოსდევს...

—რა პირით გამოდიან ხალხში ასეთი ქალები?

—„პუდრიან“ პირით! მორჩა და მოისვენა...

—როგორ იქცევიან „სტუმრები“?

—წყალს ამღვრევენ, რათა ბადე უფრო კარგათ მოსდონ თევზს.

—ვის უჭირს ცხოვრება?

—ვინც პატიოსანია.

—ვის სცემენ პატივს, ვის აძლევენ თანამდებობას, საშრომს, და სხვა?

—ვისაც ლამაზი ცოლი ჰყავს. ლამაზი ცოლის

პატრონი, თუნდაც ბაიყუში იყოს, უეჭველათ სამსახურს იშოვის და დიდი ყურადღებითაც ეპყრობა თავისი უფროსი. ხშირათ ათვალიერებს ხოლმე: აქ არის თუ არაო. მხოლოთ იმას „ენდობა“ და როცა დარწმუნდება აქ არისო, თითონ გასწევს „სასეირნოთ„...

—რასა ჰყავს ყველაზე მეტი მუშტარი?

—სხვისი ფულით გამართულ სადილ-ვახშამს, ნისია საქონელს, თავდებიან ვალს..

—რა გზას ადგია თავად-აზნაურობა?

—პროგრესის გზას.

რა მხრით?

—ბანკებში ადგილ-მამულის დაგირავებით. ამ საქმეში სრული პროგრესი ეტყობათ...

—რას შვრება სააზნაურო ბანკის გამგეობა?

—დიდძალ მოგებას იღებს... მხოლოთ თავის ჯიბისთვის.

—რა უქნეს ოძისის მამულს?

—„სიღარიბის გამო„ ვერ იჩუქეს და ამიტომ სხვას აჩუქეს...

—რას სწერენ ადგილობრივ გაზეთებში?

—არ ნახულს, არ გაგონილს და არ მომხდარს.

—რა სურთ ქვეყნის „ბელადთ“?

—იმ ანდაზის ასრულება, რაც უმოახლო ქვეყანაზეა ნათქვამი.

—მერე სხვები რას ამბობენ ამაზე?

—რა ჰქნან, ასრულებენ, რადგან ნამდვილი „ვარდისახარი“ ჯერ მათში არ არის.

—რას უგალობენ პოეტნი?

—წარსულს.

—რომელ ნივთს უფრო ხშირათ იხსენიებენ ბელეტრისტნი თავიანთ თხზულებებში?

—კედლის საათს.

—რა დანაშაულობას უფრო კვალ და კვალ მისდევს პოლიციელი?

—ქურდობას, მით უმეტეს, თუ ჯიბგირი დაინახა, გვერდით არ მოშორდება.

—რომელ პიესას უფრო ესწრებიან თეატრში?

—კომედიას, სადაც ახალგაზდა ქალი ბებერ „კავალერს“ აცუნდრუკებს.

—რას უფრო კაი მაზანდა აქვს?

—ჭორს.

—როგორ მისდევენ მოდას?

—როგორც რჯულის მტკიცე კანონს.

—მისდევენ თუ არა ანგარიშს?

—დიახ, როცა თვითონ აქვთ მისაღები რამე, ხოლო მიცემის დროს არა რწამთ რა ამ გვარებისა.

—ვის უფრო ემტერებიან?

—ვისგანაც ფული უსესხებიათ.

—ვის უფრო პატივით ეპყრობიან და ვინ მიაუჩნიათ თავის მოკეთეთ?

—ვინც სომხებს ლანძღავს და ემტერება.

—მაშ ქვეყანა არეულ-დარეულია?

—სრულიად ისე, როგორც დომხალი!..

—მერე შენ რა სიკეთე მიუტანე, რა შესძინე ქვეყანას?

—მე შორიდან ვუყურებდი სეირს. ახლოს მისვლას ვერ ვბედავდი, რადგან ყველა საჩხუბრათ აპილპილებული იყო და მეშინოდა კოზაკის ანდაზა ჩემზე არ აესრულებიათ. ეჰ, ბევრი ვეცადე, მაგრამ განსაცდელს მაინც ვერ ავცდი. ვაი, ვაი, წელო, მუხლებში მოკვეთილი ვარ, ზეზე ველარ ვდგები... ღვთის გულისთვის ხელი მამკიდე და ამაყენე,—ეხვეწებოდა ბებერი ყმაწვილს.

—მე მაინც გეტყვი, რომ შენ ვერ გამოგიჩენია ფხა და იმიტომაც ასე ღირსეულათ მოგქცევია ხალხი: ქვისა და ლოდის სროლით გადმოუგდიხარ შენი სამყოფიდან..

—კაია, მამიშენის ცხონებას, გულზე ნუღარ მხეთქავ: თუ ღირსეულათ მომპყრობიან, გაის ამ დროს ნახავ, ახლა კი გამისტუმრე, თვარა შენ შემოსაგებებლათ წამოვლიან და თუ ისევ აქ მნახეს, სულს გამაფრთხობინებენ.. აგერ, მამალიც ყივის! ჩუ! კიდევ გავარდა თოფი, მგონია, დამინახეს, წამოიძახა ბებერმა და გზაც კი ველარ დაულოცა თავის მემკვიდრეს, ისე საჩქაროთ მოჰკურცხლა საიქიოსაკენ.

—რამდენი რამ შესძლებია შიშს!—წაილაპარაკა ყმაწვილმა და თვალი გააყოლა ჩირგვიდან ჩირგვზე მხტომ ბებერს, რომელსაც აღარც ტკივილი ახსოვდა და აღარც ამ ქვეყნისა ედარდებოდა რამე...

—მოგვილოცავს ახალი წელიწადი!.. ღმერთმა მრავალი გაგითენოსთ!—მიულოცა ხალხმა ერთმანეთს დ შემდეგ დიდის მოწიწებით უამბორეს ახლათ მოსულის კალთას. ყველამ შესხმა-დიდებით მოიხსენია იმის მობრძანება, ყველამ თავიანთი მოქმედების ანგარიში წარუდგინა და ერთსაც არავის შეუმჩნევია, რომ ახალი წელიწადი ცბიერათ იღიმებოდა ულვაშებ ქვეშ.

***

## ე ვ რ ო პ ა 1897 წ.

### 1. საშინაო საქმეები

დღევანდელი ევროპის საქმეთა ვითარება შემდეგი სამი კითხვის გარეშემო ტრიალებს: პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური. მეორე პირველის და მესამის ერთათ ერთი შინაარსია.

აი ეს თვალთა-ხედვის ისარი მოვიმარჯვოთ და ევროპის გასული წლის ამბები გავითვალისწინოთ.

საშინაო საქმეთა ცენტრს სოციალური კითხვა შეადგენს. ბრძოლა მუშა-ხალხს დ̃ ბურჟუაზიას შორის წარმოებს ეკონომიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე. ბრძოლის უმთავრესი იარაღია სამუშაოს შეჩერება მუშათა მიერ ანუ გაფიცვა. ამ მხრით საყურადღებოა გასულ-წლის გაფიცვა მთა-მადნის მომუშავეთა საფრანგეთში დ̃ ავსტრიაში, გემების ამშენებელთა ინგლისში და სხვა მრავალი უფრო წვრილი გაფიცვანი. მუშათა ასეთ მოძრაობას ორ ნაირი მიზანი აქვს: ან დაიცვას თავიანთი არსებული სამუშაო პირობები წინააღმდეგ კაპიტალისტთა შევიწროებისა, ანდა გააუკეთესოს არსებული მდგომარეობა და უფრო სასარგებლო პირობები შექმნას. მუშათა ძალა არის მათი ერთობა და ორგანიზაცია, ხოლო პატრონთა ძალას მათი ქისა შეიცავს. მაგრამ ამ ბოლო დროს ესენიც ერთდებიან მუშების წინააღმდეგ სამოქმედოთ. ამისათვის ლონდონში დაარსდა „თავისუფალი შრომის მფარველი ასოციაცია (Free labour protection Association) და ბერლინში „მრეწველობა“ („Jndustria“). ამ საზოგადოებათა საგანია კაპიტალისტებს მხარი დაუჭიროს, ფულით თუ მუშების შოვით, გაფიცვის დროს. ერთის-სიტყვით ერთი ძალა ეჯახვის მეორე ძალას. კითხვა გადაჭრით არის დასმული: ან შრომა ან და კაპიტალიო. ეს მამდინარეობა გადადის პოლიტიკაშიაც და იწვევს შესაფერ პარტიობას. რადგანაც ყოველივე კლასთა ბრძოლა არის ბრძოლა პოლიტიკური, მუშებიც პოლიტიკას ეტანებიან, სურთ პარლამენტში თავის მომხრენი აირჩიონ, კანონ-მდებლობა ხელში ჩაიგდონ და თავის სასარგებლოთ გამოიყენონ. აქედან— მუშათა პოლიტიკური პარტიები, რომელთა წარმომადგენელნი ყველა სახელმწიფოების პარლამენტშია. გასულ წელს პირველათ შევიდა 14 მათი მომხრე ავსტრიის დ̃ 18 იტალიის პარლამენტში. ბურჟუაზია ყოველ ღონეს ხმარობს მოწინააღმდეგეთა ასეთ მიდრეკილებას გზა გადაუღობოს და თავისი პოლიტიკური უფროსობა გაამაგროს. ამან გამოიწვია რადიკალური კაბინეტის დაცემა და ზომიერთა სამინისტროს შედგენა მელინის მეთაურობით საფრანგეთში, ყრილობის თავისუფლების შემზღუდველი კანონ-პროექტის შეტანა პრუსიის ლანდტაგში, ძალ-მომრეობითი ზომები მთავრობის მომხრეთა გასათეთრებლათ ავსტრიაში და სხ. და სხ. გერმანიის მეფემ ვილჰელმ მეორემ თავის ორ სიტყვაში (ბრანდერბურგის და კელნის) გაილაშქრა სოციალ-დემაკრატების წინააღმდეგ და წინ წამოაყენა თვისი უზენაესი დანიშნულება: ,,მე ვარ უზენაესის მიერ მირონ-ცხებული და წარმოგზავნილი და ხალხიც მე უნდა მენდოსო“. ამ ფეოდალურ მოსაზრებამ პროტესტი გამოიწვია პრესაში და აალაპარაკა მთელი ევროპა. ამ სიტყვას მთავრობამ მოაყოლა Marinvorlage, სანაოსნო კანონ-პროექტი ფლოტის გასამრავლებლათ. ის უარყოფილი ერთხელ რეიხსტაგის მიერ შეტანილ იქმნა მეორე ხელ. გერმანიის ბურჟუაზია კაი ხანია იძახის აგრარიებთან ერთათ: ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ Weltpolitik-საქვეყნო პოლიტიკა, რის იარაღი ზღვის ძალააო. ამ აზრის გასაყვანათ მთავრობამ ერთ უებარ ხერხს მიმართა: დეკემბრის პირველ რიცხვებში თავისი სამხედრო გემი ჩინეთის ნაპირს მიაყენა, რამდენიმე მეომარი ხმელეთზე გადასვა და გერმანიის მისიონერთა დახოცვის გამო ჩინეთს პასუხის გება მოსთხოვა. ეს მაშინვე გამოიყენეს გერმანიაში და ასტეხეს ყვირილი: აი როგორ საჭიროა ძლიერი ფლოტიო. ,,ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ვაჭრები შორეულ ქვეყნებში... როცა თვითოეულ სავაჭრო გემს ერთი საომარი გემიც უკან გაჰყვება — აი მაშინ ვიქნებით დამშვიდებული შინ და გარეთ“-,სწერდა ამას წინათ ბისმარკის ჰამბურგელი გაზეთი. კაპიტალიზმი და მილიტარიზმი ასე ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიან...

ამავე დროს მინისტრათ ნამყოფ ბერლეპშმა კელნში შემდეგი სიტყვა წარმოთქვა: დღევანდელი სოციალური კონფლიქტი ახალი არ არის, გასული საუკუნის დამლევი მოწამე იყო მესამე წოდების განთავისუფლებისა ფეოდალურ ბატონებისაგან. ამ საუკუნის დამლევი მოწამეა მეოთხე წოდების განსათავისუფლებელ მოძრაობისა. ეს კლასი მიილტვის ისეთივე ნივთიერი და გონებრივი მდგომარეობისაკენ, როგორიც სხვა კლასებმა მოიპოვეს. და მისი ასეთი ლტოლვილება დაფუძნებულია სიმართლე დ̃ ჭეშმარიტებაზე.... და სხ. ასეთივე ხმა გაისმა სხვა და სხვა რეფორმატორთა კონგრესებზე და თვით ბერლინის უნივერსიტეტის დარბაზშიაც. (სიტყვა წარმოთქმული უნივერსიტეტის რექტორის შმოლერის მიერ) ამ გრიალში და ხრიალში მუშათა წარმომადგენელნი იკრიბებიან და მომავალი ბრძოლის პლანს ერთათ აწყობენ (კონგრესები პარიჟში, ბირმინგამში, ჰამბურგში, ვენაში და სხ.) ამათ შორის დიდათ საყურადღებოა ბუდაპეშტის კონგრესი ვენგრიის მიწის მუშათა. ეს პირველი მაგალითია, რომ სოფლის მუშებიც ამ გზაზე გამოსულიყვენ.

ბურჟუაზული პარტიები სოციალური კონფლიქტის შესასუსტებლათ ორათ იყოფა: ერთის აზრით რეფორმების საშუალებით შეიძლება მუშათა მოძრაობა შეჩერდეს, ამიტომ რაც მეტი რეფორმაა მით უკეთესი. ესენი არიან წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელნი და პროფესორები. ხოლო სხვილი

ბურჟუაზია და მემამულენი იმ აზრისაა, რომ ყოველივე რეფორმა მუშათა მოთხოვნილების ცნობას მოასწავებს, რაც მათ გაამპარტავნებს და მათ მიმართულებას გააძლიერებს.

საშინაო პოლიტიკას აი ეს უკანასკნელნი აწარმოებენ. ამისათვის გასული წლის რეფორმებთა რიცხვი ძლიერ მცირეა. 19 ნოემბრის გერმანიის სეფე-სიტყვაში არავითარი რეფორმა არ არის მოხსენებული. საფრანგეთში რეფორმა ყველას პირზე აკერია და ყოველთვის შეუძლებელი შეიქნა. რეფორმა გადასახადებისა, რამაც ისე აამოძრავა მთელი საფრანგეთი, ვერ იქმნა განხორციელებული. აქ დღიურ ვარამს შეადგენს განახლება პანამის და დრეიფუსის საქმეებისა. ახალ ალმოჩენილი პანამისტები, პასუხის გებაში მიცემულნი, გამართლებულ იქმნენ. ხოლო დრეიფუსი ისევ ახალ-კალიდონიაში ჩარჩა.

ინგლისის კონსერვატორული კაბინეტი, რომლის რამდენიმე წევრი უნიონისტები (ანუ ლიბერალები უჰომრულოთ) არიან, შედგა რეფორმების გზაზე. მისი თაოსნობით პარლამენტში გავიდა კანონი შესახებ დაშავებულ მუშათა დაჯილდოებისა პატრონების მიერ (Workmencompanssation, მთა-მადნებში). ამან გამოიწვია განხეთქილება კონსერვატორთა რაზმში და 3 ოკტომბერს ლორდ ლონდონდერმა საჯარო სიტყვა წარმოთქვა: ეს კანონი თვით კონსერვატორული პრინციპის უარისყოფაა, ეს სოციალიზმიაო. არა ნაკლები უთანხმოება ჩამოვარდა მეორე კანონის—„Land Akt.“-ის გამო, გამოცემული ირლანდიის ფერმერთა სასარგებლოთ. ეს პირველი ნაბიჯი, ირლანდიის შერიგებისაკენ გადადგმული, მთავრობას სისუსტეში ჩამოართვეს. კონსერვატორები ამხედრდენ თავიანთი სარდლის წინააღმდეგ. ამით სოლიუსბირის ორ-თავიანი კაბინეტი დანაწილებისაკენ გაექანა. ერთის მხრით, უნიონისტები თხოულობენ რამოდენიმე რეფორმას. მეორე მხრით კი კონსერვატორები წინააღმდეგობენ. სოლიუსბირი, როგორც ორივე პარტიის მოთავე, განსაცდელში ჩავარდა. რეფორმა—ეს მისი რაზმის დანაწილება და დაცემაა. რეფორმის უარისყოფა--ეს მისი მოკავშირე უნიონისტების უარისყოფაა, რაიცა ადრე თუ გვიან სამინისტროს დაცემას გამოიწვევს. აი როგორ უკარო წრეში ჩავარდა დინჯი ინგლისელი. ერთის სიტყვით კონსერვატორთ რეფორმები არ სწყალობენ. ამის უებარი მაგალითი ბადენის კაბინეტია ავსტრიაში.

პოლონელი ბადენი მიწვეულ-იქმნა ახალი სამინისტროს შესადგენათ და საარჩევნო უფლებების გასაფართოებლათ. მან შეასრულა ერთიც და მეორეც და ბოლოს მაინც საშინლათ დაეცა. ამის გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ ბადენის ვინაობა. ვინ არის ის? ბადენია, როგორც ვთქვით, გალიციის პოლონელი. მაშასადამე ავსტრიისთვის ის მხოლოთ პოლონელია და მეტი არაფერი. რა არის ის თვით გალიციისათვის? თავის სამშობლოში ბადენია მხოლოთ ერთი დიდი მემამულე. აზნაურობის მეთაური და წინამძღოლი. მაშასადამე ბადენია ერთი დიდი კონსერვატორი პოლონელი. ახლა ვიკითხოთ: რა არის ის თავის სამშობლოსთვის როგორც მინისტრი? როცა გალიციის ხალხმა არჩევნების დროს სხვა და სხვა რადიკალურ ოპოზიციებს წინააღმდეგ ფეოდალურ პარტიისა მხარი დაუჭირა და მათი კანდიდატების გასათეთრებლათ სოფლებიდან დაიძრა, ბადენიმ მას ჯარი შეატაკა და ყველა ცნობილი კანდიდატი დაატყვევა. ამ ბრძოლაში 9 მოკლეს, 29 დასჭრეს და 800 დაატყვევეს! აი ვინ ყოფილა ეს „პატრიოტი“ ბადენი. ცხადია ბადენის სამინისტროში გაბატონება—ეს პოლონელი ფეოდალიზმის და ძალ-მომრეობის გაბატონებაა. როგორც პოლონელი ე. ი. სლავიანი, ის მტრათ მიიღეს ნემეცთა ნაციონალისტებმა. ხოლო როგორც ფეოდალი და უკიდურესი კონსერვატორი ის ყველა პროგრესულ პარტიების მტერია. ამ სახით მის წინააღმდეგ უნდა შეერთებულიყო ყველა ეს მოპირდაპირე ჯგუფები. მაშასადამე ბადენის თავის უმრავლესობა ამ პარტიების გარეშე უნდა მოენახა. ეს უმრავლესობა უნდა შემდგარიყო კლერიკალთ, ანტისემიტთ და სხვა და სხვა სლავიანურ ნაციონალისტებთაგან. ამისათვის, პირველ ყოვლისა, საჭირო შეიქნა მუდამ ოპოზიციაში მყოფი ჩეხელების რითიმე მოყიდვა და კაბინეტის ბურჯათ გადაქცევა. და აი გამოდის ბრძანება მთელ ბოჰემიაში ნემეცურთან ერთათ ჩეხური ენაც სავალდებულოა ყველა მოხელეთათვისო. ამით ერთი დაკერით გაანემეცა ჩეხელნი და გააჩეხელა ნემეცები ე. ი. პირველნი—შეიქმნენ მთავრობის მომხრე დ̃ მეორენი მოწინააღმდეგე. უკანასკნელთ მოითხოვეს ბრძანების გაუქმება, როგორც არა

თანახმა კონსტიტუციისა გამოცემული (ე. ი. პარლამენტის შეუკითხავათ) დ ბადენის პასუხის გებაში მიცემა. როცა არც ერთი და არც მეორე არ მოხდა პარლამენტში საქმეთა მსვლელობა შეუძლებლათ გახადეს (ობსტრუქცია). მაშინ ბადენის უმრავლესობამ დააკანონა: ის დეპუტატი, რომელიც საგანზე არ ლაპარაკობს და საქმეს ხელს უშლის გაყვანილ იქმნას გარეთო, ამით დარღვეულ იქმნა ძირითადი კანონი ყოველი კონსტიტუციისა: დეპუტატთა ხელშეუხებლობა. ამ გარემოებამ სამოქმედოთ წინ წამოაყენა ჯერ კიდევ უკან მდგომი სოციალ-დემოკრატები *) და ენერგიულათ მოითხოვეს კონსტიტუციის აღდგენა. ქუჩებშიაც არეულობა მოხდა და ბოლოს ბადენიც სამსახურიდან გადადგა. პარლამენტის სხდომები გადაიდვა დ შედგა ახალი კაბინეტი გაუჩის მეთაურობით. თუ პირველი პოლიტურ მოღვაწეთა სამინისტრო იყო, მეორე მოხელეთა სამინისტრო — Beamtenministerium — რომელთაც არავითარი წარსული არა აქეთ გარდა მოხელეური კარიერისა. მის მერმისს მისი საქმენი დაგვანახვებენ.

ამ გვარათ ავსტრიაში ისე აირ-დაირია ნაციონალური კითხვები, რომ აღარავინ იცის ვინ ვის აწუხებს, რომელია დამჩაგვრელი დ რომელია დაჩაგრული. ნემეცები, ჩეხელები, პოლონელები — ერთის სიტყვით ყველა ერთი მეორეს აწუხებს და თანაც ყველა კვნესის გვაწუხებენო. ასეთი საკვირველება იქიდან წარმოდგება, რომ წვრილი, განვითარების საფეხურზე დაბლა მდგომი ერები წინ წაიწიეს და კულტურულათ თითქმის გაუთანასწორდენ უკვე განვითარებულ და გაბატონებულ ნემეცებს. და, რასაკვირველია, გალონიერებულ ერს აღარ უნდა მას წინანდურათ ეპყრობოდენ. ატყდა ბრძოლა, შეეტაკე ერთმანერთს და ხან ერთია მორეული და ხან მეორე.

თუ კი ავსტრიაში ნაციონალური ბრძოლა პარლამენტარულ ბრძოლათ გადაიქცა, სხვაგან მას, სამაგიეროთ, ნამდვილი ომის ხასიათი მიეცა. თოფიარაღით შეებრძოლენ სომხები და კრეტენელები თათრებს, კუბანელები ისპანიელთ. სომხების საქმე ჯერ დაბოლოვებული არ არის, კრეტენელთ თვით-მართველობა მიიღეს, ხოლო კუბის ბედ-იღბალი ახლა წყდება. ისპანიის კონსერვატიული სამინისტრო ცდილობდა აჯანყებული კუბანელნი ძალათ დაემორჩილებია და არავითარი მათი მოთხოვნილება არ ეცნა. აჯანყებულნი რამდენიმე წელია მამაცათ ებრძვიან ისპანიის ჯარებს. ბოლოს ისპანიის კონსერვატიული კაბინეტი დაეცა და მის ალაგას ლიბერალური ჩადგა. ამან მაშინვე შეცვლა ძველი პოლიტიკა, კუბიდან უკან დააბრუნა ძალ-მომრეობის მოტრფიალე ღენერალი ვეილერი და გაგზავნა მარშალი-ბლანკო, რომელსაც კუბისთვის თვით-მართველობა უნდა მიენიჭებია აი ამის რამოდენიმე მუხლი: 1) დაარსება კუბანის პარლამენტის, რომლის წევრები ირჩევიან პირდაპირ ხალხისაგან; 2) დაარსება ამავე წესით სენატის, 3) პარლამენტს უფლება აქვს განაწესოს ხარჯთ აღრიცხვა, გამოსცეს კანონები შესახებ ადგილობრივი დაწესებულებისა, დანიშნოს საჯამოქნო ბაჟის რაოდენობა და გააჩინოს ადმინისტრაციის წევრნი პასუხის გებაში მიეცენ თუ არა. 4) კუბის ღენერალ-ღუბერნატორი, დანიშნული ისპანიის მთავრობის მიერ, პასუხის მგებელია კუბანის პარლამენტის წინაშე. 5) ისპანიას უფლება აქვს განაგოს კუბის ინტერნაციონალური საქმეები, აგრეთვე სამხედრო, სანაოსნო და სასამართლო საქმეებიც. აი ეს მუხლები უარყოფილი იქმნა აჯანყებულთა მიერ. მათი მიზანია კუბის ერთიანათ განთავისუფლება ისპანიისაგან და რესპუბლიკათ გამოცხადება. ბრძოლა წარმოებს...

აი, მოკლეთ, ევროპის საშინაო საქმეების ანგარიში გასულ წელს. ახლა განვიხილოთ საგარეო საქმეებიც.

ე—ა.

*) სოციალ-დემოკრატები ეთანხმებოდენ ბადენის განკარგულებას ენის შესახებ. და ამიტომ ნემეც ნაციონალისტთა ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ვენაში მომხდარ მათ კონგრესზე მთელი პარტია ფედერატიულათ მოაწყვეს: თვითოეული ერის პარტიას მიეცა თვით-მართველობა, ხოლო საერთო კითხვების გადასაწყვეტათ აირჩიეს ყველა ერიდან თითო წარმომადგენელი, რომელნიც იკრიბებიან ვენაში და შეადგენენ ფედერაციის ცენტრალურ კომიტეტს. ამით სოციალ-დემოკრატებმა უკვე უჩვენეს ავსტრიას საუკეთესო მართვა-გამგეობა ერთა თანასწორობის საფუძველზე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა

Доз. ценз. Тифлис 31 Декабря 1897 г. Тип. М. Д. Ротиніанца — სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41